# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 27 ივნისი 1995 № 36 (174) · ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარადიულობის 107 წუთი

## სამხრეთი აფრიკა – მსოფლიო ჩემპიონი

RUGBY WORLD CUP

ეროვნული, მრავალრასობრივი და სრულიად სახალხო ზეიმია რასიზმის ყოფილ ციტადელში, აწ კი ცისარტყელოვან ქვეყანაში — სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკაში. იქაური ზამთრის ერთ გრილ საღამოს ჰაიფელდტის ზეგანზე გაშენებულ სამრეწველო და კულტურულ ცენტრსა და ქვეყნის უდიდეს ქალაქ იოჰანესბურგში იქაურმა რაგბის ნაკრებმა „ქურციკებმა" დიდზე დიდი მატჩი მოიგო — მესამე მსოფლიო თასის ფინალში, დამატებით დროში 15:12 დაამარცხა ძველი მეტოქე და თასის პირველი მფლობელი, ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსი".

„ქურციკთა" გამარჯვება მთელს ქვეყანაში საკუთარ ტრიუმფად აღიქვეს, რაც ერთობ საგულისხმოა გაერთიანებისა და გაერთსულოვნების რთულ გზაზე შემდგარი ერისთვის. მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ დაგმობილი აპარტჰეიდის წლებში რაგბი თეთრების, მეტადრე კი აფრიკანერ-ბურების ერთგვარ რელიგიადა და რასობრივი უპირატესობის დამტკიცების საშუალებად ქცეულიყო, რის გამოც ქვეყნის მკვიდრი ზანგური უმრავლესობა სულ ბოლო დრომდე ეჭვით, შიშით, კრძალვითა თუ ზიზღით შეჰყურებდა ოვალური ბურთით თამაშს.

მსოფლიო თასმა ზანგებს რაგბისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეუცვალა. საამისოდ ხელი ყველამ გამოიღო: ბევრი იმუშავეს თეთრმა სარაგბო თემმა თუ მსოფლიო რაგბის უფროსობამ, მედიამა თუ თხუთმეტივე სტუმარმა გუნდმა. ამათ შანსი ხელიდან არ გაუშვიათ: ზანგურ უბნებს, რაიონებსა თუ გარეუბნებს ეწვივნენ და იქ ლიანგური ვარჯიშობანი გამართეს.

ზანგებისათვის რაგბის შეყვარებაში ლომის წილი დაიდო პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ, რომელიც საკმაოდ ჭკვიანი და შემწყნარებელი პიროვნება ჩანს. მოახლოვდა თუ არა მსოფლიო რაგბის ფორუმი, მანდელამ „ქურციკებს" კეპი გამოართვა, ჭაღარა თავზე ჩამოიფხატა და მთელს ქვეყანას ბევრჯერ ეჩვენა, ფინალის წინ კი დიდ შოუში რიგითი მონაწილესავით ჩაება. თამაშის წინ ქვეყნის პირველი ზანგი პრეზიდენტი „ქურციკებს" გასახდელში სწვევია და კაპიტან ფრანსუა პინარისათვის კვართი გამოურთმევია. ამ 6-ნომრიან მწვანე სამოსში გამოწყობილმა ცუნდრუკა მოხუცმა მატჩის წინ სათითაოდ ჩამოუარა მოთამაშეებს, მსაჯებსა და თვით ბურთის მომტან ბიჭებს და ყველას გაესაუბრა, მკლავის ძალა გაუსინჯა და მამაშვილურად დამოძღვრა, მერე საპატიო სტუმრების ლოჟაში სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირის ცნობილ პრეზიდენტთან, მილიონერ დოქტორ-ლუი ლეიტთან ერთად დაბრძანდა, თამაშის შემდეგ კი ვებ ელისის თასიც პირადად გადასცა პინარს, ვისმა ბიჭებმაც, რომელთა შორის ოდენ ერთი ზანგი — ჩესთერ ვილიამსი ერია, ახალ რეჟიმს მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაუგდეს სახელი და დიდი პროპაგანდისტული თულფი („კოზირი") ხელთ შეაჩეჩეს.

ძველ დროში მავანი მეტოქე სამხრეთ აფრიკას რომ ეწვეოდა, ზანგები თურმე სტუმრებს საჯაროდა და გულში ქომაგობდნენ, რითაც რასისტულ რეჟიმთან შეურიგებლობას გამოხატავდნენ. ამჯერად პირიქით ყოფილა: მთელი ქვეყანა, როგორც ერთი კაცი, „ქურციკების" მხარეს იყო და მათი გამარჯვებით ლიანგურ ლხენას გულწრფელად მიეცა.

ფინალის წინ იშვიათი სანახაობა გაიმართა. მასპინძლებმა თექვსმეტივე მონაწილე კოლორიტულად წარმოადგინეს. თვითმფრინავებმა რამდენჯერმე გადაუფრინეს სტადიონს და სხვადასხვა მისსიის მქონე პარაშუტისტები ჩამოყარეს. მერე შესრულდა რაგბის მსოფლიო თასის ახლებურად აწყობილი ჰიმნი The World in Union („მსოფლიო შეკრებილაო"), ბოლოს კი ზანგ მანდილოსან მგალობელთა გუნდმა ზედიზედ იმღერა სამხრეთი აფრიკის ძველი და ახალი, და ახალი ზელანდიის ჰიმნები: ორგანიზატორებს ამათი მოწვევა ეტყობა აფიქრებინა იმან, რომ ზოგ ბრიტანულ გუნდს ვირის სმენა აღმოაჩნდა!

თამაშის შემდეგ ახალზელანდიელი ვაჟკაცები ატირდნენ. აქვითინდნენ „ქურციკები", რომლებიც წრედ ჩაიმუხლნენ და ღმერთს მადლი შესწირეს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ეგზომ ასახელეს, ამ გუნდის მომავალი მაინც გაურკვეველია: სახელმწიფოს მეთაურს ბევრჯერ დაუქადნია, ამ მსოფლიო თასის მერე „ქურციკები" ყვავილებად — „პროთეებად" იქცევიანო. ისე კი, მანდელამ ისე გამოიდო თავი, ჩემდათავად „ქურციკი" ვარო, რომ ცოტა დაუჯერებელიც კი გვგონია, ამათი ინსტიტუტი მოშალოს.

თუმც, პოლიტიკოსებს რას გაუგებ კაცი!

იხილეთ მეოთხე გვერდი



### მერდოქი თურმე რაგბსაც სწყალობს

მსოფლის თასის ფინალის წინადღით გამოქვეყნდა ცნობა, სარაგბო სამყარო რომ ააფორიაქა. სამხრეთი ნახევარსფეროს სამივე ბუმბერაზს — სამხრეთ აფრიკას, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიას პირი შეუკრავს და მედიის ავსტრალიელი მაგნატის — რუპერტ მერდოქის „ნიუზ კორპორეიშენისთვის" მიუყიდია შინ გასამართი ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საერთაშორისო თამაშის ტელეტრანსლირების ერთპიროვნული უფლება. სამაგიეროდ, მერდოქს სამხრეთული რაგბის საკეთილდღეოდ 550 მილიონი გირვანქა გაუღია. ბუმბერაზთა ტრიო ამ ფულის ასათვისებლად გაისიდან ყოველწლიურად გამართავს ეროვნულ ნაკრებთა ორწრიან ჩემპიონატსა და ახალ პროვინციულ შეჯიბრს, ამ სამი ქვეყნის 12 ბობოლა რომ ჩაებმება. რაკიღა ყველა ამ თამაშს გადმოსცემს მერდოქის **Star TV**, ამ თანამგზავრულ ტელეარხს ქართველი რაგბის ქომაგებისთვის მეტი ფასი დაედება.



მსოფლიო თასი ფრანსუა პინარმა ჩაიბარა



## აგვისტო ფეხბურთს მოიყვანს

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა მეშვიდე ჩემპიონატში მონაწილე პირველი ჯგუფის გუნდების მთავარ მწვრთნელთა სამუშაო შეხვედრა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან. შეხვედრაზე, რომელსაც ბატონი ნოდარ ახალკაცი თავკაცობდა, ფედერაციის მუშაკებმაც და გუნდების მწვრთნელებმაც დადებითად შეაფასეს განვლილი, მეექვსე ჩემპიონატის შედეგები და მომავალ ჩემპიონატზეც ისაუბრეს. ითქვა, რომ მეშვიდე ჩემპიონატი აგვისტოს დამდეგს დაიწყება, პირველი წრე კი 10-15 დეკემბერს დასრულდება. ფედერაციამ მწვრთნელებს ურჩია, მეტი ყურადღება დაუთმონ საწვრთნელი პროცესის დოკუმენტაციის შედგენას. თუ კლუბი არ წარადგენს კონტრაქტს მწვრთნელსა და კლუბს შორის, ფედერაცია მის განაცხადს არ დაამტკიცებს. ეს იმიტომ კეთდება, რომ მხოლოდ კლუბების მეპატრონეთა ნება-სურვილზე არ იყოს დამოკიდებული მწვრთნელთა მოხსნა-დანიშვნა და მწვრთნელი უფრო მეტად იყოს დაცული. ახალ ჩემპიონატში ფეხბურთელს უწვივსაფროდ თამაშის უფლება არ მიეცემა. კლუბებმა ყველა სადაო საკითხი ფიფას კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად ფედერაციაში უნდა გადაწყვიტონ. ახალი ჩემპიონატის დებულებით, გუნდები ვალდებულნი იქნებიან სეზონში ნაკრების 7 შეკრებაზე მაინც გაუშვან ეროვნული გუნდის წევრები. მეშვიდე ჩემპიონატში შესაძლოა დაუშვან დაბალი დივიზიონიდან მაღალში 1 ან 2 ფეხბურთელის გადასვლა.

ითქვა მომავალი ჩემპიონატის კალენდრის თაობაზეც. კალენდარი მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ შედგება, რაც 30 ივნისს უეფას „ტასკ ფორსის" სხდომა გადაწყვეტს, რამდენი გუნდი დაუშვას საქართველოდან. წინასწარი მონაცემებით, უეფას თასზე თბილისის „დინამო" და „სამტრედია" ითამაშებენ, თასების თასზე ბათუმის „დინამო". უეფას მოთხოვნით, სრული ინფორმაცია სამივე კლუბის თაობაზე უკვე გაგზავნილია შვეიცარიაში. ფედერაციის მუშაკთა ვარაუდით, რიტმული კალენდრის შედგენა ნაკრების მატჩებისა და ევროთასებზე ჩვენი გუნდების გამოსვლის გამო ვერც ამჯერად მოხერხდება.

ფედერაციამ მკაცრად მოსთხოვა კლუბებს მსაჯთა უსაფრთხოების გარანტია. მსაჯების საქმიანობისა და მიმოსვლის გასაიოლებლად ზუგდიდის „დინამოს" მენეჯერმა ჯემალ გოგიამ ასეთი აზრი შესთავაზა დამსწრეებს: იქნებ მსაჯებს საქართველოს ქალაქებში მივლინების მოწმობის საფუძველზე უფასოდ მგზავრობის ნება დაერთოთ. მისი დაპირებით თბილისი-ზუგდიდის ტრასაზე ამ მხრივ მსაჯებს პრობლემები არ ექნებათ.

შეხვედრაზე გაირკვა, რომ უეფას თბილისის „დინამოსთვის" 300 000 შვეიცარიული ფრანკი გადმოურიცხავს, რაკილა დინამოელებს პირველი სამი თამაში მოუგიათ და კოეფიციენტიც 6 დაუგროვებიათ. ასე რომ, ევროთასებზე მოასპარეზე გუნდებს დამატებითი სტიმულიც გაუჩნდათ.

მეშვიდე ჩემპიონატს პირველ ჯგუფში კვლავაც 16 გუნდი დაიწყებს, რომელთაც სეზონის წინ ფედერაციის ხაზინაში 3 ათას-3 ათასი დოლარი ან ამისი ფარდი თანხა უნდა შეიტანონ. ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს, მეშვიდე ჩემპიონატის შედეგების მიხედვით მერვე ჩემიონატის წინ გამართოს და შემდგომ ტრადიციულიც გახადოს მატჩი საქართველოს სუპერთასზე, რომელშიც ერთმანეთს ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი შეხვდებიან. ითქვა ისიც, რომ რაკილა გუნდებმა ვერ მოაბეს თავი ფეხბურთელთათვის მედლების გადაცემის ცერემონიალის მოწყობას, ფედერაციამ გადაწყვიტა, პირველი ჩემპიონატის მსგავსად კვლავაც თავად უჩვენოს მათ ამის მაგალითი და თავად მოაწყოს ჩემპიონისა თუ პრიზიორების დაჯილდოების ცერემონიალი.

მამუკა კვარაცხელია

## უეფა, თბილისი, სამტრედია და ... სოხუმი

უეფას თასზე მოასპარეზეთაგან დადგინდა 16 განთესილი გუნდი, რომლებიც წინასწარ წრეს და ოცდამეთორმეტედფინალს გამოტოვებენ და შეჯიბრებაში მეთექვსმეტედფინალიდან ჩაერთვებიან. ესენია: „ბარსელონა", „მილანი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ბენფიკა", „ვერდერი", „ბაიერნი", „კაიზერსლაუტერნი", „დინამო" (კიევი), „ინტერი", „ოსერი", „გალათასარაი", „რომა", „სპარტა" (პრაღა), „ბრონდბრიუ", „დინამო" (ბუქარესტი), „მონაკო".

ამასთან ერთად „გაძეტა დელო სპორტმა" გამოაქვეყნა ევროტურნირებში მონაწილე ყველა გუნდის სია, რომელთა შორის არიან თბილისის „დინამო" (უეფას თასზე) და სოხუმის (ალბათ ბათუმის დაწერა უნდოდათ) „დინამო" (თასების თასზე). ფრანგულ „ფრანს ფუტბოლს" კი ჩამონათვალში თბილისის „დინამო" და „სამტრედია" (ორივე უეფას თასზე) უწერია, თასების თასზე — არავინ. როგორც ვხედავთ, ასეთ პატივცემულ ჟურნალ-გაზეთებსაც კი თავგზა აბნევიათ, ამიტომ, გვიჯობს, დაველოდოთ უეფას „ტასკ ფორსის" კომისიის 30 ივნისის სხდომას, რომელიც ზუსტად გვეტყვის, რამდენი გუნდის გაყვანის ნებას გვრთავს.

## ფინიშთან ბევრი კუპონია

ზოგისთვის იმ ნეტარსახსენებელი სოციალიზმისას ჩვენში მასობრივი რბენები რომ ტარდებოდა, სასწავლებლებიდან ჯუ ორგანიზაციებიდან ლამის ძალით ერეკებოდნენ ხალხს, ირბინეთ, თორემ თუ გაჯიუტდებით, მართლა სარბენად გაგიხდით საქმესო. ჰოდა, დავრბოდით...

ახლა, როცა აღარც სოციალიზმში ვართ, აღარც კაპიტალიზმში და საერთოდ ვერ გაგვიგია, სადა ვართ, ეს ნახევრადმშიერი ხალხი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე დარბის. იქნებ სწორედ იმიტომაც, რომ მათ სტარტზე ძალით აღარავინ მიერეკება, ან იქნებ იმიტომ, რომ რბენაში, ჯანმრთელობის შენარჩუნების გარდა, რაღაც სახეიროც დაინახეს.

ასეა თუ ისე, დარბიან და იქით იხვეწებიან, გვარბენინეთო. ახლაც ასე იყო თბილისში, 25 ივნისს, როცა რბენის ოლიმპიური დღე გაიმართა. სტარტზე გამოსასვლელად 1000-ზე მეტი ბავშვი, მოზარდი, ქალი, კაცი, ახალგაზრდა თუ ორმოცდაათს გადაცილებული ადამიანი და მთელი ოჯახებიც ჩაეწერნენ. ჩაეწერნენ და ირბინეს კიდეც. ზოგმა სპორტის აკადემიიდან თავისუფლების მოედნამდე, ზოგმა რუსთაველის ძეგლიდან — გააჩნია, ვინ რამდენი წლისა იყო. შეჯიბრების ყველა მონაწილეს ხუთი რგოლითა და „კოკა-კოლას" საფირმო ნიშნებით დამშვენებული „ფირმა" მაისურები აჩუქეს. თუ ჩვენი ჯიბის ამბავს გავიხსენებთ, ასეთი მაისურისთვის რბენა ღირდა კიდეც, მაგრამ გამარჯვებულმა ქალ-ვაჟმა სეოკ-ის მიერ დაწესებული პრიზებიც მიიღეს — 100-100 მილიონი კუპონი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემით დამშვენებული მაჯის საათები, სხვა ფასიანი პრიზებიც. „კოკა-კოლა კავკასიონმა" კი 10-10 საუკეთესოს ასევე ჩინებული პრიზები გადასცა და ფინიშთან თავისი ნახელავი სასმელიც ბლომად დაახვედრა — ისიც უსასყიდლოდ, რა თქმა უნდა.

გამარჯვებულმა ბავშვებმაც ფრიად გაიხარეს, როცა წარმატებისთვის მშვენიერ პრიზებთან ერთად 10-10 მილიონი კუპონიც მიიღეს, რაც, მოგეხსენებათ, ზოგი მათი მშობლისთვის რამდენიმე თვის ხელფასია.

ჰოდა, ვირბინოთ, ვირბინოთ და, იქნებ დადგეს დრო, ფინიშთან დოლარებიც ჩამოგვირიგონ...

# ჰამბურგის ნაცვლად... ლოგინში

ბიორბი ანჩაბაძის ამას წინათ ჰამბურგში ყოფნის მიზეზსა და მიზანზე უკვე გაუწყეთ, მკითხველიც ალბათ ელოდებოდა, როდის ჩაიცვამდა „ჰამბურგის" მაისურს დინამოელი ნახევარმცველი, მაგრამ ანჩაბაძეს არათუ „ჰამბურგში", „დინამოშიც" არ უთამაშია, რადგან გერმანიაში მიღებული საზარდულის ტრავმა თამაშის კი არა, ვარჯიშის საშუალებასაც არ აძლევდა. ამასობაში ივნისიც მიიწურა. გიორგის სახლში ავაკითხე. ის კი ლოგინში დამიხვდა, ორიოდ დღის გამოსული იყო საავადმყოფოდან...



— ექიმები მაიმედებდნენ, რომ ოპერაცია საჭირო არ გახდებოდა, არადა, დღედღეს მისდევდა, ტკივილი კი არ მიყუჩდებოდა. საშველი რომ აღარ დამადგა, ოპერაციის გაკეთება გადავწყვიტე. ჩემი ყოფილი გუნდის, „ანცის" ექიმმა ვაჟა გაფრინდაშვილმა ორივე საზარდულზე გამიკეთა ოპერაცია. მისი თქმით, 8 აგვისტოს უკვე ვარჯიშის დაწყებაც შემეძლება.

**— ამ ტიპის საზარდულის ტკივილს ბევრი ქართველი ფეხბურთელი უჩივის. როგორ გგონია, რისი ბრალია?**

— ჩემი აზით, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი, ფეხბურთელების ბრალია. თამაშის წინ გახურებას მეტი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ, ჩვენ კი არაპროფესიულად ვუდგებით ამ საქმეს და აკი თითქმის ყველას საზარდული აწუხებს. შარშან, ისრაელში წასვლის წინ, წიდისსაფარიან მინდორზე დავიშავე საზარდული, მერე და მერე ალბათ ყურადღებაც მოვაკელი და აი, სადამდე მივედი.

**— დავუშვათ და, აღარ ინდომა „ჰამბურგმა" შენი წაყვანა...**

— გერმანიაში გატარებულმა რამდენიმე დღემ და ორმა თამაშმა დამარწმუნა საკუთარ შესაძლებლობებში. მივხვდი, რომ ჯანზე მყოფს არაფერი გამიჭირდება. გერმანელ ფეხბურთელთა უმრავლესობა საკმაოდ სწორხაზოვნად თამაშობს, ლეჩკოვი ყველაზე ნაკლებს მოძრაობს, მაგრამ იმდენად სწორად ანაწილებს ენერგიას, შთაბეჭდილება გრჩება, მოტორი უდგას.

**— ადრე თქვი, რომ „აინტრახტსაც" გამოუჩენია ყურადღება შენს მიმართ.**

— „აინტრახტიდან" მოსული ფაქსი ჩემი თვალით ვნახე. მოკლედ, რომ არა ტრავმა, უკვე ბუნდესლიგაში ვითამაშებდი. ახლა კი გამოჯანმრთელებას უნდა დაველოდო — სექტემბერში ხომ სწორედ გერმანელებს ვეთამაშებით. რევანშის წყურვილის გარდა ჩემი კარიერისთვის ამ თამაშს სხვა მნიშვნელობაც აქვს...

მამუკა კვარაცხელია

# «არმაზი» აღდგება

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფის ერთ დროს ერთ-ერთ მოწინავე გუნდს, მცხეთის „არმაზს" ბოლო სეზონი არ უთამაშია — გუნდი დაიშალა, ფეხბურთელებიც წავიდ-წამოვიდნენ: გრიგოლ ყაჩლავაშვილი და გიორგი ხუბეჯიშვილი ყვარლის „დურუჯში", თეიმურაზ ვოლკოვი — გორის „დილაში", ნოდარ სიდამონიძე — „შევარდენში", ტარიელ კანდელაკი — ხაშურის „ივერიაში". ვეტერანებმა — 33 წლის დავით ფირანიშვილმა, 38 წლის ზურაბ სოლოლაშვილმა და სხვებმა კი თამაშს თავი ანებეს. მცხეთის სტადიონზე ხან „მრეტები" თამაშობდა, ხანაც სხვა გუნდი. მცხეთელი გულშემატკივრებიც სხვათა თამაშის შემყურენი იყვნენ და ძველ, „კარგ" დროსღა იხსენებდნენ. საშველი თითქოს არსაიდან ჩანდა, მაგრამ ამასწინათ „არმაზის" მოთამაშე მწვრთნელთან მერაბ ხუცურაულთან საუბრისას ახალი და გასახარი ამბავი შევიტყვე..

**— რა იყო „არმაზის" დაშლის მიზეზი?**

— ის, რაც ჩვენში ახლა ბევრ გუნდს აწუხებს — ფინანსური სიძნელეები. კლუბის ძველმა ხელმძღვანელობამ თავი არ შეიწუხა, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, რეგიონში მოვიდა ხელმძღვანელი, რომელმაც კარგად იცის ფეხბურთის ყადრი. ეს კაცი გახლავთ მცხეთა-მთიანეთის რწმუნებული შალვა ობგაიძე. მხარში ამოგვიდგა რაიონის ახალი გამგებელი არმაზ შამანაურიც და ამ ორი ადამიანის მონდომებამ მცხეთას ფეხბურთი დაუბრუნა. კლუბის პრეზიდენტი ჯერ არ არჩეულა — პრეზიდენტი ის იქნება, ვინც სპონსორობას გაგვიწევს.

**— როდის და სად დაიწყებთ ახალი სეზონისათვის მზადებას?**

— 10 ივლისიდან ვარჯიშსაც შევუდგებით, ძირითადად ალბათ მცხეთაში მოვემზადებით.

**— სტადიონი რა დღეში დაგხვდათ?**

— მოედნის საფარი მშვენივრად გამოიყურება, მე თუ მკითხავთ, პირველი ჯგუფის ბევრი გუნდის მინდორს აჯობებს. ტრიბუნებსაც არა უშავს. არ გაგვიჭირდება სტუმარი გუნდების მიღებაც — გვაქვს უამრავი პანსიონატი, კოტეჯების კომპლექსი „თეატრონი", რომლის მშენებლობა მალე დასრულდება.

**— „არმაზი" მუდამ გამოირჩეოდა ვეტერანთა სიმრავლით. ახლა როგორ იქნება საქმე — ახალგაზრდა ადგილობრივ ფეხბურთელებს აიყვანთ, მოიწვევთ ვინმეს თუ ისევ ძველ გვარდიას უხმობთ?**

— გუნდის ძირითად ბირთვს ალბათ კვლავ გამოცდილი მცხეთელი ფეხბურთელებით შევადგენთ, ცხადია, ჩვენებურ ახალგაზრდებსაც დავიმატებთ. ვინაიდან მომავალზე ვფიქრობთ, ახალგაზრდები მრავლად გვეყოლება, თუმცა ჯერჯერობით ვეტერანებზე ხელაღებით უარს ვერ ვიტყვით...

**— თქვენ კარგა ხანს მოთამაშე მწვრთნელი იყავით, თანაც გუნდის კაპიტანი, ახლაც გამოხვალთ მინდორზე?**

— 40 წლის ასაკში ძნელია მინდორზე დაბრუნება, თანაც ამდენი გაგვიცდა, ვფიქრობ, მხოლოდ მწვრთნელობას დავჯაბულდები.

**— თქვენი მიზნები ახალ სეზონში?**

— მეორე ჯგუფში ადგილის დამკვიდრება. მერე ვნახოთ, თუ შევთამაშდით, ფინანსურადაც მოვმაგრდით და რაიონიც მხარში ამოგვიდგა, პირველ ჯგუფზეც შეიძლება ფიქრი.

მამუკა კვანტალიანი

# 40 წლის სტუდენტი

ავთანდილ ქანთარიას საქართველოში ათამდე გუნდში უთამაშია: ეროვნულ ჩემპიონატს ლანჩხუთში შეხვდა, „გურიასთან" ერთად ორჯერ ვერცხლის მედლებიც მოიგო და საქართველოს თასის პირველი მფლობელიც გახდა. როგორც მეკარეთა უმრავლესობა, ავთოც ორმოც წლამდე აპირებდა თამაშს, მაგრამ გრიგოლეთის ბაზაზე ფეხი გაეჭრა, ექიმებმაც მინის ნამსხვრევი ჩაუტოვეს, მოსკოვში ხელმეორე ოპერაციას და გამოჯანმრთელებას კი დიდი დრო დასჭირდა და რაღა დროს ფეხბურთში დაბრუნება იყო.

— ოცი წელი ვთამაშობდი ფეხბურთს და უცებ უსაქმოდ აღმოვჩნდი. რა უნდა მექნა, მწვრთნელობაზე ვფიქრობდი და მოსკოვში, მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში ჩავაბარე. წლეულს დეკემბერში ვამთავრებ. როგორც ამბობენ, ამ სკოლას საერთაშორისო სტატუსი მიენიჭება და აღმოსავლეთ



ევროპის მწვრთნელთა მომზადების ერთ-ერთი ცენტრი გახდება. ჩემს გარდა აქ კიდევ ერთი ქართველია, ყოფილი მეკარე გოჩა ალადაშვილი, რომელიც ასპირანტურაშიც კი დატოვეს.

ახლა თბილისის „დინამოში" ვარ სტაჟირებაზე. რუსეთში მწვრთნელად დარჩენა, ფაქტიურად, შეუძლებელია, რადგან როგორც კი რომელიმე ლიგაში ადგილი განთავისუფლდება, უმალ ახალგაზრდა მწვრთნელთა „ცოცხალი რიგი" დგება. დიპლომის აღების შემდეგ უმალ საქართველოში გამოვეშურები და ბავშვთა ფეხბურთიდან დავიწყებ...

# დალასელი მაცი

სამი წლის წინ „ავაზას" ბავშვთა გუნდმა ამერიკაში „დალასის თასის" ტრადიციული ტურნირი მოიგო. იქაური სკოლის, გრინჰილის საფეხბურთო გუნდის მწვრთნელმა დიკ ჰოლმა თვალი დაადგა თბილისელ თავდამსხმელს მაცი გიორგაძეს და სკოლაში სწავლა და ფეხბურთის თამაში შესთავაზა. მაციმაც ამერიკას მიაშურა, ორ წელიწადში გრინჰილის სკოლა წარჩინებით დაამთავრა, ინგლისურის გარდა ფრანგული, იტალიური და ესპანური ენებიც შეისწავლა, გუნდის შემადგენლობაში კი დალასის ჩემპიონი გახდა და 22 გოლიც გაიტანა. მერე რანგით უფრო მაღალ „ლინკსში" გადაიყვანეს, მაციმ იქაც 12 გოლი შეაგდო. სკოლის დამთავრების შემდეგ კი ამერიკის საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე ჩრდილო კაროლინის რალის გუნდმა „თარ-ჰილსმა" მიიწვია და ოთხწლიანი



კონტრაქტიც დაუდო.

— ორ წელიწადში ამერიკელები პროფესიული საფეხბურთო ლიგის შექმნას აპირებენ. ამ ლიგაში ფეხბურთელი საკმაოდ დიდ თანხას, 80 ათას დოლარს მიიღებს წელიწადში. არადა, ამერიკელებს ვერც მსოფლიო ჩემპიონატმა უშველა, ევროპული სოკერი კვლავაც უცხო ხილია მათთვის, განსხვავებით იქაური ბურთაობისაგან. სხვათა შორის, სპორტის ეს სახეობაც მოვსინჯე, 4 თვეში 26-მდე მატჩიც ვითამაშე და 7 დამიწებაც კი მოვახერხე. აი, ჯარიმა კი ვერ შევაგდე, სულ კარის სიმაღლეზე გამქონდა.

## ექვსივე ჩემპიონატი: „დინამოდან" „ლიახვამდე"

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 191 | 146 | 23 | 22 | 598-186 | 461 | 80,5 |
| კოლხეთი 1913 | 185 | 99 | 32 | 54 | 338-209 | 329 | 59,3 |
| მეტალურგი | 189 | 92 | 33 | 64 | 364-264 | 309 | 54,5 |
| გურია | 185 | 92 | 23 | 70 | 340-302 | 299 | 53,9 |
| ტორპედო | 185 | 91 | 24 | 70 | 346-273 | 297 | 53,5 |
| ბათუმი | 185 | 86 | 32 | 67 | 327-249 | 290 | 52,3 |
| სამტრედია | 185 | 80 | 32 | 73 | 277-274 | 272 | 49,0 |
| შევარდენი 1906 | 191 | 77 | 33 | 81 | 298-302 | 264 | 46,1 |
| ზუგდიდი | 183 | 74 | 29 | 80 | 313-299 | 251 | 45,7 |
| დილა | 191 | 69 | 33 | 89 | 255-305 | 240 | 41,9 |
| სამგურალი | 183 | 65 | 27 | 91 | 246-336 | 222 | 40,5 |
| მარგვეთი | 157 | 62 | 32 | 63 | 247-265 | 218 | 46,3 |
| ალაზანი | 125 | 55 | 20 | 50 | 197-224 | 185 | 49,3 |
| ცხუმი | 123 | 54 | 19 | 50 | 239-199 | 181 | 49,1 |
| ივერია | 153 | 47 | 22 | 84 | 178-298 | 163 | 35,5 |
| კახეთი | 98 | 34 | 17 | 47 | 157-207 | 119 | 40,5 |
| მზიური | 91 | 33 | 16 | 42 | 125-162 | 115 | 42,1 |
| კოლხეთი (ხობი) | 91 | 30 | 21 | 40 | 126-139 | 111 | 40,7 |
| ამირანი | 91 | 27 | 21 | 43 | 111-148 | 102 | 37,4 |
| მრეტები | 106 | 26 | 15 | 65 | 114-210 | 93 | 29,2 |
| საპოვნელა | 66 | 25 | 11 | 30 | 98-122 | 86 | 43,4 |
| მერცხალი | 91 | 22 | 17 | 52 | 100-176 | 83 | 30,4 |
| სულორი | 57 | 19 | 10 | 28 | 82-123 | 67 | 39,2 |
| შუქურა | 30 | 13 | 3 | 14 | 44-57 | 46 | 46,7 |
| მალაროელი | 36 | 11 | 6 | 19 | 56-86 | 39 | 36,1 |
| დურუჯი | 30 | 8 | 3 | 19 | 28-65 | 27 | 30,0 |
| ლიახვი | 34 | 0 | 0 | 34 | 11-135 | 0 | 0 |

# იტალია

იტალიაში ტრანსფერების ვადა 18 ივლისამდეა, მაგრამ ბევრმა ფეხბურთელმა უკვე მოაწერა ხელი ახალ კონტრაქტს. გთავაზობთ გუშინდელ „გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნებულ საბოლოოდ დადგენილ გადასვლათა სიას. ფრჩხილებში მითითებულია ის გუნდები, სადაც გადავიდნენ ან საიდანაც მოვიდნენ ეს მოთამაშეები.

### იუვენტუსი

წავიდნენ: კოლერი (დორტმუნდი, გერმანია), იარნი (ბეტისი, ესპანეთი), რობერტო ბაჯო ამ დღეებში იაპონიაშია, სადაც შესაძლო გადასვლის ნიადაგს სინჯავს.
შეემატნენ: ვერხოვოდი, ლომბარდო, იუგოვიჩი (სამპდორია), სორინი (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), პესოტო (ტორინო)

### ლაციო

წავიდნენ: გასქოინი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ბაჩი (ტორინო)
შეემატნენ: ესპოზიტო (რეჯანა), პიოვანელი (ბრეშია), ადანი (ბრეშია), მარკოლინი (ჯენოა), სკლოზა (კრემონეზე), ლუძარდი (ნაპოლი)

### მილანი

წავიდნენ: მასარო (შიმიცუ, იაპონია), მელი (პარმა)
შეემატნენ: ვეა (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), ფუტრე (რეჯანა), ა. კარბონე (ფიორენტინა), დე ნაპოლი, გამბარო (რეჯანა), ლოკატელი (ატალანტა), ლორენცინი (ტორინო)

### ინტერი

წავიდნენ: იონკი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ბერხკამპი (არსენალი, ინგლისი), ა. ორლანდო (კრემონეზე), ა. პაგანინი (ატალანტა), მ. კონტე (პიაჩენცა)
შეემატნენ: განცი (ატალანტა), რამბერტი (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ინსი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პედრონი (კრემონეზე), ძანეტი (ბანფილდი, არგენტინა). შესაძლოა იყიდონ სტოიჩკოვი (ბარსელონა)

### ტორინო

წავიდნენ: პესოტო (იუვენტუსი), ლორენცინი (მილანი), კიპრიენი (რენი, საფრანგეთი)
შეემატნენ: ჰაქან შუქური (გალათასარაი, თურქეთი), მილანეზე (კრემონეზე), ბაჩი (ლაციო)

### რომა

შეემატნენ: მიხაილოვიჩი (სამპდორია), ბერეტა (კალიარი), ბრანკა (პარმა), დი ბიაჯო (ფოჯა)

### პიაჩენცა

შეემატნენ: მ. კონტე (ინტერი), კორინი (ნაპოლი)

### ნაპოლი

წავიდნენ: რინკონი (პალმეირასი, ბრაზილია), კრუზი (სტანდარდი, ბელგია), ლუძარდი (ლაციო), კორინი (პიაჩენცა)

### პადოვა

წავიდნენ: მანიერო (სამპდორია), ბალერი (პარმა), ძორატო
შეემატა: ფიორე (პარმა)

### პარმა

წავიდნენ: ფიორე (პადოვა), ბრანკა (რომა)
შეემატნენ: აიალა (რივერ პლეიტი, არგენტინა), მელი (მილანი), ბალერი (პადოვა), ბრამბილა (რეჯანა)

### სამპდორია

წავიდნენ: ლომბარდო, იუგოვიჩი, ვერხოვოდი (იუვენტუსი), გულიტი (ჩელსი, ინგლისი), მასპერო (კრემონეზე), მიხაილოვიჩი (რომა), სერენა (ფიორენტინა)
შეემატნენ: კიეზა (კრემონეზე), მანიერო (პადოვა)

### ფიორენტინა

წავიდნენ: კარბონი (მილანი), მარსიო სანტუში (აიაქსი, ჰოლანდია), ტედესკო (ფოჯა)
შეემატნენ: ამორუზო, ბიჯიკა (ბარი), პადალინი (ფოჯა), სერენა (სამპდორია)

### კრემონეზე

წავიდნენ: კიეზა (სამპდორია), მილანეზე (ტორინო), პედრონი (ინტერი), სკლოზა (ლაციო)
შეემატნენ: ა. ორლანდო (ინტერი), მასპერო (სამპდორია)

### კალიარი

წავიდნენ: ბერეტა (რომა), დელი ვალდესი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი)
შეემატა: ბრესანი (ფოჯა)

### ბარი

წავიდნენ: ამორუზო, ბიჯიკა (ფიორენტინა)

### ატალანტა

წავიდნენ: განცი (ინტერი), ლოკატელი (მილანი)
შეემატნენ: ა. პაგანინი (ინტერი), ალექსანდრე (ბანგუ, ბრაზილია)

ზურაბ მეძველია
ლონდონიდან

# «სან ლორენსო» – არგენტინის ჩემპიონი

კვირას „სან ლორენსომ" ესტებან გონსალესის მიერ მატჩის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე თაურით გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით სტუმრად დაამარცხა „როსარიო სენტრალი" და 21 წლიანი შესვენების მერე არგენტინის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა!

„სან ლორენსოს" ამ მატჩამდე ერთი ქულით უსწრებდა „ხიმნასია ლა პლატა". ეს კლუბი უმაღლეს ტიტულთან ასე ახლოს 1929 წლის მერე აღარ ყოფილა. მისი შანსები საკმაოდ მაღალი იყო, რადგან შინ იღებდა „ინდეპენდიენტეს", მაგრამ დამარცხდა 0:1. საბოლოოდ, „ლა პლატამ" მას ერთი ქულით გაუსწრო.

გამოვლინდა რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონიც. გადამწყვეტ მატჩში „ფლუმინენსემ" „ფლამენგოს" 3:2 მოუგო. „მარაკანაზე" ამ თამაშს 120 000 კაცი ესწრებოდა. გამარჯვებულთაგან ორი გოლი რენატომ გაიტანა.

პერუს ნაკრებმა კი ამხანაგურ მატჩში მოუგო სლოვაკეთის ეროვნულ გუნდს — 1:0. გოლი 57-ე წუთზე 11-მეტრიანი დარტყმით ნორბერტო სალანომ გაიტანა.

## „ინტერტოტოს თასი". I ტური. 24-25 ივნისი

I ჯგუფი. ბაზელი — შეფილდი 1:0, ორჰუსი — გურნიკი 4:1; II ჯგუფი. ოსტერსი — კიოლნი 0:0, ტოტენჰემი — ლუცერნი 0:2; III ჯგუფი. ჰავნარი — უნივერსიტატია 0:0, არაუ — ტრომსო 2:2; IV ჯგუფი. ბეკეშჩაბა — უნიაუ 2:2, ჰერენვეენი — ნესტვედი 2:1; V ჯგუფი. ბოჰემიანი — ოდენსე 0:2, ნორჩიოპინგი — ჰელსინკი 1:1; VI ჯგუფი. კეფლავიკი — მეცი 1:2, ლინცი — პარტიკ თისტლი 2:2; VII ჯგუფი. ტერვისი — ბუდუჩნოსტი 1:3, ოფი კრეტა — ნეა სალამინა 2:1; VIII ჯგუფი. პოგონი — კანი 1:2, ბაჩეი — ფარული 1:2; IX ჯგუფი. ბობი — გრონინგენი 1:2, ჩაპლაული — ეტარი 2:0; X ჯგუფი. ბეითარი — შარლერუა 0:1, უიმბლდონი — ბურსასფორი 0:4; XI ჯგუფი. ფლორიანა — ტიროლი0:4, გენჩლერბირლიგი — ჰაპოელი 4:0; XII ჯგუფი. სპარტაკი — აინტრაზტი 0:4, ფორვარტსი — ერაკლისი 3:0.

**ტურისტული ფირმა „იმედი" გთავაზობთ მოგზაურობას:**

ჰოლანდია — მანქანების ჩამოყვანით; ბულგარეთი — დასვენებით „ოქროს ქვიშებზე" და შოპ-ტური სოფია — პლოვდივი; სირია — ალეპო — ავტობუსებით; ეგვიპტე — ქაირო — ალექსანდრია; ირანი — თეირანი; კვიპროსი დასვენებით და სამუშაოზე მოწყობით

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი 42; ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრო III სართული. ტელ: 39-48-84, 39-24-32, 30-49-49, 39-69-96

# ესპანეთი

## ავდართან მეფეც უძლურია

მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სამეფო თასის ფინალს თვით მონარქი ხუან კარლოსი და დედოფალი სოფია ესწრებოდნენ. პრიზის მაძიებლებმა „დეპორტივო ლა კორუნიამ“ და „ვალენსიამ“ მსაჯის გარსია არანდას სასტვენისთანავე სწრაფი ფეხბურთი კი გააჩაღეს, მაგრამ თანდათან ისიც გამოიკვეთა, რომ ორივე გუნდს შეტევისას სიმწვავე აკლდა, თუმცაღა, ამის ფილ, თვალში გეცემოდათ თამაშის ქინი. „დეპორტივო“ შორეული დარტყმებით ცდილობდა სუბისარეტას კარის დალაშქვრას, „ვალენსიას“ კი უპირატესად კაპიტნის, ბულგარელი ლუბო პენევის და ხორვატი პრედრაგ მიატოვიჩის ოსტატობის იმედი ჰქონდა. დაახლოებით ხუთ-ექვს წუთში ერთხელ მეტ-ნაკლებად მწვავე მომენტებიც იქმნებოდა. 35-ე წუთზე ლაკორუნიელმა მანხარინმა მეტოქის მცველს ბურთი წაართვა და ანგარიში გახსნა. ამას „დეპორტივოს“ კართან ასეთივე, ოღონდ უგოლო მომენტი მოჰყვა და სწორედ ამ დროს „სანტიაგო ბერნაბეუს“ იმ დღის მთავრი გმირი, კოკისპირული წვიმა ეწვია.

მეორე ტაიმში წვიმა ჯერ თქეშად, მერე კი ნიაღვრად იქცა. ფეხბურთელებს ერთადერთი საზრუნავი, ბურთის შეძლებისდაგვარად შორს გადაგდება გაუჩნდათ, რასაც ყოველთვის ვერც ახერხებდნენ, რადგან თვით ამ მსოფლიოში სახელგანთქმული სტადიონის მინდორზე წყალი დაგროვდა, მოგვიანებით კი ერთ დიდ, ასმეტრიან გუბედ გადაიქცა. სანამ თამაშს ჯერ კიდევ ფეხბურთი ეთქმოდა, 70-ე წუთზე მიატოვიჩმა ჯარიმიდან ლამაზი დარტყმით გაქვითა, მაგრამ ამ გოლიდან ოთხწუთნახევარში ისეთი სეტყვაც წამოვიდა, ბურთაობა კი არა, ოცდაორმა მოთამაშემ და სამმა მსაჯმა გასახდელებისკენ თავქუდმოგლეჯილმა მოჰკურცხლა. მადრიდის სტადიონის ქვედა, გადაუხურავი ნაწილი, ჩვენებურად პირველი იარუსი, წამებში დაცარიელდა. გამოდარებას ესპანელები ერთ საათამდე ელოდნენ, შემდეგ კი პირენეიზე შუაღამე რომ მოახლოვდა, თამაშის გაგრძელებას კი აზრი აღარ ჰქონდა, მეფეს მობოდიშეს და მისი უდიდებულესობის თასის ფინალი დღეისათვის, სამშაბათისთვის გადადეს.

# გერმანია

თასის ფინალი. 24 ივნისი

**გლადბახი 3:0 ვოლფსბურგი**

ბერლინი. ოლიმპიური სტადიონი. 75 000 მაყურებელი.

ბორუსია მიონხენგლადბახი: კამპსი, კასტენმაიერი, კლინკერტი, ანდერსონი, ნეუნი, პოხშტახერი (ფახი), ეფენბერგი, პფლიპსენი, ვინპოფი (შტადლერი), დალინი, პერლიხი.

ვოლფსბურგი: ციმერმანი, ლიებერამი, იენსენი (ტაუბერი), პრომსტი, კლაინი, ბრუნერი, ვოლიტცი, დამაიერი (ბუტრეი), ზილინგერი, რაიხი, მაისნერი.

გოლები: დალინი (13), ეფენბერგი (61), პერლიხი (86)

მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ გამარჯვებამ მიუნხენის „ბაიერნს“ უეფას თასზე გასვლის უფლება მოუპოვა.

## დორტმუნდის „ბორუსია“ — გერმანული „მილანი“

სანამ მთელი მსოფლიო იტალიის კლუბებსა და მათ მიერ შეძენილ ვარსკვლავებზე ლაპარაკობდა, „ბორუსია“ გერმანიის ჩემპიონი გახდა, ჩემპიონთა ლიგაში ადგილიც მოიპოვა და ახლა შემადგენლობას აღარ იკითხავთ?! ამ დღეებში თავის დიდოსტატებს ტურინის „იუვენტუსიდან“ 4 მილიონ გერმანულ მარკად იურგენ კოლერი შემატა. გერმანიის ნაკრების გამოცდილი მცველი 1991 წელს „ბაიერნიდან“ „იუვენტუსში“ რომ გადადიოდა, იტალიელებმა მასში 11,7 მილიონი მარკა გადაიხადეს. ახლა დორტმუნდმა ფეხბურთელი სამშობლოში გაცილებით იაფად დააბრუნა, მაგრამ მისი თამაშის კლასი ასევე გაიაფდა თუ არა, ეს კიდევ საკითხავია. საინტერესო ის არის, რომ „ბორუსიამ“ ბოლო წლებში სწორედ ტურინის „ბებერი ქალბატონისგან“ შეიძინა შტეფან როიტერი, ანდრეას მიოლერი და ბრაზილიელი ხულიო სეზარი. არ გეგონოთ, დორტმუნდელები კოლერს სჯერდებოდნენ: მათ მოლაპარაკება გაუმართეს მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ახალგაზრდა ვარსკვლავის ჰაიკო ჰერლიხის თავიანთთან გადასაყვანად, მას მერე კი, რაც კოლუმბიელი ფაუსტინიო ასპრილიას „პარმას“ მწვრთნელ ნევიო სკალასთან კონფლიქტი გახმაურდა, გერმანიის ჩემპიონი ხანგი თავდამსხმელის ხელში ჩასაგდებადაც დაჩალიჩდა.

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისში ტრანსფერები გრძელდება. „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ ლიგიდან გავარდნილი „კრისტალ პალასისგან“ 4,5 მილიონ გირვანქად (7,2 მილიონი დოლარი) შეიძინა კრის არმსტრონგი. არმსტრონგი, მოგეხსენებათ, ნარკომანი იყო, რომელმაც ავი ზნისგან თავის დასაღწევად იმკურნალა, რის გამოც გასულ სეზონში ბევრი თამაში გაუცდა. მიუხედავად ამისა, მოედანზე დაბრუნებულმა მაინც შეძლო რვა გოლის გატანა, მაგრამ კლუბს ველარაფერი უშველა, რადგან მის თანაგუნდელებს მეტოქეთა კარების დალაშქვრა ძლიერ უჭირდათ. „კრისტალ პალასმა“ პრემიერ ლიგაში“ ყველაზე ნაკლები გოლი გაიტანა.

ავსტრალიელებს, როგორც ჩანს, ყველაფერი რაგბის წეს-ჩვეულებების მიხედვით აქვთ აწყობილი. ფეხბურთში ტესტსერიები უჩვეულო რამაა და ასეთის გამართვა აზრად სწორედ მწვანე კონტინენტელებს მოუვიდათ. პარტნიორად მათ განის ნაკრები შეარჩიეს, რომელთაც, როგორც გახსოვთ, წინა კვირაში სიდნეიში 2:1 მოუგეს, შემდეგ კი ადელაიდაშიც შეხვდნენ და კვლავ გაიმარჯვეს 1:0. სერიის საერთო ანგარიში 2:0-იაო, იუწყებიან რაგბზე წერას დაჩვეული ავსტრალიელი მიმომხილველები.

აშშ-ის თასზე მექსიკამ კოლუმბიასთან 0:0 ითამაშა. ორივე გუნდი „კოპა ამერიკასთვის“ ემზადება. ამ ფრის შემდეგ კოლუმბიელებმა დალასში ნიგერია დაამარცხეს 2:1.

ბრაზილიის თასი მოიპოვა „კორინთიანსმა“, რომელმაც პორტუ ალეგრეს „გრემიოს“ შინ 2:1 სძლია, სტუმრად კი 1:0. მეორე შეხვედრაში 67-ე წუთზე გოლი მარსელინო კარიოშომ გაიტანა.

არგენტინაში დიეგო მარადონამ ცოლის, კლაუდია ვილაფანეს წაქეზებით ლიპოსექცია ჩაიტარა. ეს მუცლის ოპერაციას და ქონის ამოჭრას ნიშნავს. მარადონას დისკვალიფიკაციის ვადა სექტემბერში გასდის და უშედეგო ცდის შემდეგ კვლავ ფეხბურთელობას აპირებს, საამისოდ კი ზედმეტი წონა ხელს უშლიდა.

შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირზე გერმანიის ნაკრებმა მასპინძლებს, შვეიცარიელებს 2:1 მოუგო. გოლები გამარჯვებულთაგან ჰესლერმა (63) და მიოლერმა (83) გაიტანეს, დამარცხებულთაგან კი 75-ე წუთზე თავი კნუპმა გამოიჩინა.

იტალიაში, როგორც იქნა, საბოლოოდ გადაბარგდა ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშე პოლ ინსი. მან ხელი მოაწერა კონტრაქტს მილანის „ინტერთან“, რაც აქამდე იმიტომ არ გააკეთა, რომ მისი თეთრკანიანი ცოლი იტალიელთა მიერ შეთავაზებულ სახლებს იწუნებდა. კოლუმბიელმა ზანგმა ფაუსტინო ასპრილიამ კი განაცხადა, რომ ალარასოდეს ჩაიცვამს „პარმას“ მაისურს. მას მწვრთნელ ნევიო სკალასთან სერიოზული კონფლიქტი აქვს, რომელიც მოჰყვა ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციას, სადაც მოთამაშემ მწვრთნელი სასტიკად გააკრიტიკა.

უელსის ნაკრების ფეხბურთელი მარკ ჰიუზი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ 3 წლით „ჩელსიში“ გადადის. გარიგება 1,5 მილიონ დოლარად შეფასდა, მაგრამ საქმე ჯერ მოთავებული არ არის. ჰიუზს ტრავმები აწუხებს და ახალ გუნდში მიღებამდე მას ჯერ ექიმები შეამოწმებენ საგულდაგულოდ.

არგენტინის ნაკრებმა უმასპინძლა სლოვაკეთს და 6:0 მოუგო. თამაში მენდოსაში გაიმართა. ექვსივე გოლი ბოლო 35 წუთში გავიდა. ორჯერ გამოიჩინა თავი გაბრიელ ბატისტუტამ (68; 90), რომელმაც გალარდოს 58-ე წუთზე ასისტენტობაც გაუწია. გალარდომ მეორე ბურთიც გაიტანა, 69-ე წუთზე პენალტით. კიდევ ორჯერ სანეტმა (62) და სიმეონემ (82) დაარტყეს ზუსტად.

რუმინეთის თასის ფინალში პლოეშტის „პეტროლულმა“ ბუქარესტის „რაპიდს“ პენალტებით 6:4 სძლია (ძირითადი დრო 1:1) და პრიზი დაისაკუთრა.

ესპანეთში პირველი ლიგის ადგილისთვის „ალბასეტემ“ სტუმრად მოუგო „სალამანკას“, „ლერიდამ“ და ხიხონის „სპორტინგმა“ ფრედ 2:2 ითამაშეს.

# კონტინენტური მღელვარების მოლოდინი

**ევრო 96 დღითიდღე, უფრო და უფრო იპყრობს ჩვენს გონებას. ჩემპიონატამდე ერთი წელიწადი დარჩა. კვლავაც შესწევს ტერი ვენეიბლზის გუნდს უძლიერეს ევროპელებთან პაექრობის ძალა?... ქირ რედნიჯი ინგლისის ნაკრების მწვრთნელსა და მის ტექნიკურ კოორდინატორს დონ ჰოუს ქვეყნის მთავარ გუნდში შექმნილ მდგომარეობაზე ესაუბრა.**

— დღეისათვის მიღწეულით კმაყოფილი თუ ხართ?

ტერი ვენეიბლზი: დუბლინის თამაშის ჩაუთვლელად შვიდი შეხვედრა ჩავატარეთ და მოვლენათა მსვლელობით ერთობ კმაყოფილი ვარ. მართალია, ურუგვაელებთან დიდად ვერ ვივარგეთ, მაგრამ გამარჯვებასთან მაინც ახლოს ვიყავით. მეორე მხრივ, თუ გოლები ვერ გავიტანეთ, ყველას გული აუცრუვდება, ჩვენ ხომ სანახაობის შექმნა გვსურს. ახლა დრო ხამარისად გვაქვს, რაც ძლიერ მნიშვნელოვანია. ყოველთვის მწამდა, რომ დრო დიდი უპირატესობაა, რომელიც უნდა გამოიყენო. ჩემი აზრით, ჩვენი მუდმივი საზრუნავი დაცვაა. ევროპისა და მსოფლიოს უძლიერეს გუნდებთან სიფრთხილეს ქარს თუ გაატან, უეჭველად დაისჯები. მეტი სიდინჯეა საჭირო. ისე არ გამიგოთ, თითქოს სუსტი დაცვა გვყავდეს, მაგრამ მაინც ამოსავალ წერტილად ის უნდა გავიხადოთ, რომ გოლის გაშვება არ შეიძლება. რაც შეეხება ახალ თაობას, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გუნდში ადგილს ელის და ძალიანაც კარგი, რომ ამ პერიოდში მათ მასწავლებლად გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავთ. აშკარად ვგრძნობ, ამდენი ახალგაზრდა ერთად რომ მივიწვიო და საკუთარ აკვარგში გარკვევა ვთხოვო, მათთვის უძნელესი ამოცანა იქნება. სწორედ აქ თამაშობენ დიდ როლს ვეტერანები. როდესაც ლე სოქსი და ანდერტონი ავიყვანე, გამოცდილმა თანაგუნდელებმა ერთობ შეუწყვეს ხელი და წარმატებამაც არ დააყოვნა. ახლა იგივე სხვებისთვისაც უნდა განმეორდეს. საბოლოოდ, ჩვენი მუშაობა სწორია თუ მცდარი გაისად შევიტყობთ დიდ ტურნირში, ახლა კი მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, პროგრესით უკმაყოფილო არ ვარ.

— პრესის ზეწოლა გაძლიერებთ?

დონ ჰოუ: დიახ, ეს ზეწოლა მეტია, ვიდრე 1982 წელს ესპანეთში, 1986-ში მექსიკაში და 1990-ში იტალიაში იყო. ჩვენს პირველ საწვრთნელ შეკრებაზე როდესაც ტერი მუშაობას იწყებდა, ერთად რომ არ მინახავს, იმდენი ფოტოგრაფი მოვიდა. თითქოს მინდვრის გარშემო მაყურებლი იხსდაო. სამოყვარულო გუნდების შეხვედრებზე აუტის ხაზთან ხალხი რომ გროვდება, ისე იყო. გავოცდი, თანაც ისეთი მშვენიერი ობიექტივები ეკავათ, მგონი განძრევასაც ველარ ვბედავდი. ჯობდა თავიც არ მომეფხანა, თორემ მეორე დღეს ამ მომენტს დაბეჭდილს ვნახავდი ასეთი მინაწერით: დაღონებული და ჩაფიქრებულიაო. ვფიქრობ, ყველაფერი ფეხბურთისთვის სასარგებლოა. მთელს მსოფლიოში ხალხს ხომ ყველაფრის წაკითხვა სურს. რაც შეეხება თავად თამაშს, დღეს საერთაშორისო ფეხბურთში ყველაფერი დაცვიდან და ნახევარდაცვიდან ეწყობა. ალბათ ყველასთვის ცნობილია, რომ ტაქტიკაში ცვლილებები მოხდა. უამრავი თამედროვე გუნდი ერთი თავდამსხმელით თამაშობს, მოვლენები კი მოედნის სიღრმიდან ვითარდება. ასეთი თამაში კარგად რომ გამოვიდეს, ფეხბურთელებთან დიდი მუშაობაა საჭირო. ერთი წინ წაწეული მოთამაშით გამოსვლა იოლი სულაც არ არის რადგან ხშირად ეს წინა კაცი მიტოვებული რჩება და თუ შეხვედრა სწორედ არ წარმართე ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, თითქოს ყრუ დაცვას თამაშობ. ამასწინათ ურუგვაელებს დიდი მოთამაშე ფონსეკა შეტევაში ასე მიტოვებული ჰყავდათ. კაცი იფიქრებდა, ფონსეკას ახლომახლო სხვა ფეხბურთელებიც რომ განელაგებინათ, ჩვენს გუნდს მეტ სირთულეს შეუქმნიდნენო, მაგრამ ასეთია ახალი ტაქტიკური მოდა. როცა კარგად გამოდის და ყველა ნახევარდაცვიდან მოქმედებს — მშვენიერია, ხოლო თუ არ აეწყო, თავდაცვას ჰგავს და კრიტიკაც მაშინ იწყება.

ვენეიბლზი: ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე მეტად არიგო საკისა და კარლოს ალბერტო პარეირას აკრიტიკებდნენ. მათ ასე საშინლად თავისიანები სჯიდნენ, მაგრამ მწვრთნელებმა იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ. კარლოსს დიდხანს ველაპარაკე. მან კარგად უწყოდა, რომ ბრაზილიელები საკმაოდ მსუბუქად ეკიდებოდნენ ზოგიერთ საკითხს და 20 წლის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონატებიდან ერთით მეტი გაშვებული გოლის გამო ვარდებოდნენ.. ამიტომაც მან ნიჭიერი მოთამაშეებისაგან დისციპლინიანი გუნდის შექმნას მოკიდა ხელი. ამგვარად, ეს ორი მწვრთნელი ფინალში სტვენა-სტვენით გავიდა. თავად განსაჯეთ, იგებ და პატივს არ გცემენ, ძნელია არა?! ახლა ყველა ვიტყვით, დიახაც ძნელიაო, მაგრამ მე მგონი, საქმე ის არის, რომ ჩვენ ფეხბურთით არ ვცხოვრობთ და იმავდროულად უფეხბურთოდაც არ შეგვიძლია. ვთქვათ და, ვერ იგებ, ის ხომ ნაღდია, რომ ყველა ღონეს ვხმარობ. თუ ბევრ ფეხბურთელს ცვლი და ექსპერიმენტებს ატარებ, იტყვიან, რომ მყარი გუნდი არ გყავს, ხოლო თუ მყარი გუნდი გყავს, მაშინ იმას დაიჩივლებენ, რომ ახალი გვარები არ ჩანს. რას იზამ, გაზეთებს შევსება სჭირდება. მოკლედ, ჩვენ მყარი გუნდის შექმნა უნდა ვცადოთ, ხოლო თუ ამისთვის გაგვაკრიტიკებენ, როგორც იტყვიან, ტყვიის ჩაკბეჩა მოგვიწევს.

— ინგლისურ ფეხბურთს ტექნიკურ



დონ ჰოუ და ტერი ვენეიბლზი

სრულყოფილებას სამართლიანად უწუნებენ?

ვენეიბლზი: ამ ნაკლის გამოსწორებას ტაქტიკის დახვეწით ვცდილობთ, მაგრამ დიდი დრო მიაქვს. ვფიქრობ, საქმე მაინც უკეთესობისაკენ მიდის.

— ხულიგნობის პრობლემაზე რას იტყვით?

ვენეიბლზი: პრობლემა გვაქვს, მაგრამ ვეჭვობ, ეს მხოლოდ ინგლისის მოსაგვარებელი იყოს. მთელს ევროპაში სირთულეებია. აქ საქმე ფეხბურთში კი არა, იმ ხალხშია, ფეხბურთში და მის ირგვლივ რომ ტრიალებს. სხვა სახეობათა წარმომადგენლები უაზრობას ამბობენ, თითქოს ხულიგნობა სპორტის თანამდევია, რადგან, ვთქვათ, რაგბმა ისეთივე მასშტაბი რომ შეიძინოს, ხულიგნები იქ გადაბარგდებიან. საფრანგეთსაც პრობლემები აქვს, ასევეა გერმანიაშიც. საფრთხის შიშით ქვეყნები რომ ამოვაგდოთ, მალე ვიტყვით, მოდი, ევროპის ჩემპიონატს საერთოდ ნუ ჩავატარებთო. თუ ნაკრებთა გულშემატკივრებს ვერ ვაკონტროლებთ, მაშინ ნურარც მსოფლიოს ჩემპიონატს გავმართავთ და ოლიმპიადებსაც თავი დავანებოთ. ამგვარი მსჯელობით თავს სასაცილო დღეში ჩავიგდებთ, რომ ამბობენ ძაღლი კუდს კი არა, კუდი ძაღლს აქიცინებსო ისეთში. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ამ მშვენიერ სახეობას მის შემრყვნელთ ხელში არ ჩავუგდებთ. ეს კიბო უნდა ამოვკვეთოთ.

— უცხოელ ფეხბურთელთა ყიდვის მოდა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საკუთრივ ინგლისი ვერ ახერხებს კარგი ახალგაზრდების აღზრდას?

ვენეიბლზი: ჩემი აზრით, ჩვენ მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს, მაგრამ პრემიერ ლიგის კლუბებს გავარდნის შიშით მზა ფეხბურთელების ყიდვა ურჩევნიათ, რადგან თვლიან, რომ მცირე დროში ახალგაზრდები გამარჯვებას ვერ მოუტანენ. დონ ჰოუს ერთ-ერთი საზრუნავიც სწორედ უცხოეთზე დაკვირვებაა. უნდა შევისწავლოთ, ახალგაზრდათა დონის ამაღლება რით შეგვიძლია.

ჰოუ: სწორია, უცხოელი მოთამაშეების ყიდვა მოდად იქცა. ნახეთ, ფეხბურთში რა ხდება: თუ თქვენ „მანჩესტერ სიტიდან“ ხართ და ხედავთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ლეგიონერი შეიძინა, თქვენ იგივე უნდა გააკეთოთ, რათა ჯონსებს არ ჩამორჩეთ. რაც შეეხება მომავალ თაობას — „აიაქსს“ მათი აღზრდა-განვითარების საუცხოო სისტემა აქვს. ამაზე უკეთესი რა უნდა მოვიფიქროთ?! ჩვენ სკოლის პრობლემა გვაქვს, როგორც იცით, ჩვენში ბავშვები ოთხის ნახევრამდე გაკვეთილებზე არიან, ჰოლანდიაში კი სკოლა თორმეტზე-პირველზე მთავრდება, ასე რომ, „აიაქსს“ შუადღისას უკვე შეუძლია მოსწავლეთა შეკრება. ჩვენ მათ თანდათანობით ვკრებთ, მაგალითად, ენდი კო[illegible]ის და ნი[illegible] ბარმბის შემთხვევა გამოდგება. ზოგადად ცუდად არ ვმუშაობთ, მაგრამ [illegible] ბაც აშკარად [illegible] ჩვენ [illegible] საკუთარი სტილი გვაქვს. მოგეხსენებათ, ინგლისელები [illegible] მილს [illegible] ვარს კარგი ფეხბურთი, ცხადია, უყვარს, მაგრამ ძირითადად მაინც მძაფრი განცდა სურს. მას უნდა ბურთი სულ საჯარიმოში იყოს და მოთამაშეები მისთვის იქ იბრძოდნენ. ალბათ სწორედ ამის გამოა, რომ ინგლისის პრემიერ ლიგის თამაშებს მთელი მსოფლიო ტელევიზიით გადასცემს — ის ხომ ამაღელვებელია.

— ეს მითხარით, კვლავ ინგლისური კლუბების ევროტურნირებიდან ხუთწლიანი დისკვალიფიკაციის ნაყოფს ხომ არ ვიმკით?

ვენეიბლზი: დიახ, „ლივერპულის“ წარმატებათა მიზეზი ის იყო, რომ შინ თუ გარეთ, ყოველ მატჩში რაღაცას სწავლობდა. ამის გამო თითქმის ყოველ წელიწადს ფინალში თუ არ გადიოდა, სადმე ახლოს ამთავრებდა შეჯიბრებას. გუნდს ჰქონდა დიდი გამოცდილება, რომელსაც წლების მანძილზე იძენდა. ამ პროცესის უგულვებელყოფა შეუძლებელია. ჩვენ ის დავკარგეთ. შემდეგ გრძელი პასი გაბატონდა და ფიქრი და ფანტაზია ამოაგდო.

— მაგრამ „არსენალმა“ ხომ თასების თასი მოიპოვა...

ვენეიბლზი: დიახ, მაგრამ „არსენალმა“ ეს მხოლოდ დაცვით, დაცვით, დაცვით და ერთი გარღვევის იმედით მოახერხა. სინამდვილეში, შინ უპირატესობის მოპოვება ერთხელაც ვერ შეძლო და სტუმრად კონტრშეტევის წყალობით გაძვრა ასე იყო, მაგალითად, „ოსერთან“. ამაში ცუდიც არაფერია, მაგრამ ასე თამაშს თავი აუცილებლად უნდა დავანებოთ. ჩვენ ისეთივე სტაბილური და ძლიერი უნდა გავხდეთ, როგორიც რამდენიმე ევროპული გუნდია. მართალია, შესაძლოა აქა-იქ კონტინენტური შეჯიბრებები მოვიგოთ კიდეც, მაგრამ ძველებურ ავტორიტეტს ვერსად ვხედავ.

— 1996 წელს შინ, ინგლისში თამაში მართლა თვალსაჩინო უპირატესობაა?

ვენეიბლზი: თუ არ ვცდები, ათი წელიწადია, რაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მასპინძლებს არ გაუმარჯვიათ, ასე რომ, შინ თამაშმა დიდად ვერავის უშველა. ცხადია, მხარდაჭერა ბევრს ნიშნავს, მაგრამ შესაძლოა ეს ცუდადაც შემოგიბრუნდეს. მე მგონი, მასპინძლობამ 1990 წელს იტალიაზე ცუდად იმოქმედა. მათ რამდენჯერმე კარგად ითამაშეს, მაგრამ რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით მეტად ნერვიულობდნენ. ჩვენი უდიდესი პრობლემა ამხანაგური მატჩების მოწყობაა. ფეხბურთის ასოციაცია ფაქსს უგზავნის ყველას, მაგრამ ქვეყნებს თავიანთი შესარჩევი მატჩები აქვთ ჩასატარებელი. ეჭვი არ მეპარება, რომ გაისად ჩვენთან ჩამოსასვლელად და სათამაშოდ რიგში ჩადგებიან, ოღონდ წლეულს სატესტო მატჩების გამართვა მეტად რთულია.

— ევროპულ ნაკრებთაგან რომლებს გამოარჩევდით?

ვენეიბლზი: უპირველესად ხორვატიას. მათი მოთამაშეები რომ ნახოთ, ისინი ძირითადად იტალიაში გამოდიან და საგანგებო ნიჭი აქვთ. საკუთრივ იტალიელებიც ყოველთვის ძლიერ ნიჭიერები არიან. ჩემი აზრით, გერმანელებს, პირველად ბოლო წლებში, ავი ჯადო ჰქონდათ შეყრილი. მსოფლიოს ჩემპიონატზე ვგრძნობდი, რომ თავიანთ ჩვეულ სტანდარტს დასცილდნენ. ესპანეთი კი ძლიერია, ვფიქრობ, კლემენტემ სწორად იმუშავა. სხვაც ბევრია კარგი გუნდი, მაგრამ ჩვენ მათთვის მზად ვართ.

თარგმნა პაპუნა კედიამ

# როგორ დაიჭირეს ლომუ

თამაშის კვირაძალს ფინალისწინა ისტერიამ აპოგეას მიაღწია. მას შემდეგ, რაც ნავთობის კომპანია „შელ-საუს-აფრიკამ" თავის გუნდს გამოუცხადა, რამდენჯერაც ლომუს შებოჭავთ, იმდენ 5 000 რანდს ზანგური რაგბის ხელშემწყობ ფონდში ჩავრიცხავო, ზელანდიელებმა ხმა აღიმაღლეს, აქაო და ამგვარი საქციელი ლაჩრულია და რაგბის სულისკვეთებასაც ეწინააღმდეგებაო. აბა, სად გაგონილა, თხუთმეტი კაცი ერთ 20 წლის ყმაწვილს დასდევდეს და ფულის ხათრით მის წაქცევას ეშურებოდესო.

„შელმა" მყის ქოში უკუ ჰყარა, მართალი შენიშვნააო და პირობა შეცვალა: რამდენ ლელოსაც გაიტანენ ჩვენები, იმდენ ხუთ ათასს შევაწევთ ზანგ მორაგბეებსო. არადა, როგორც მერე და მერე გაირკვა, ნავთობკომპანია გაჭირვებულებს ერთი ცენტითაც ვერ


ანდრე ჟუბერი

შეეწია, რადგანაც ფინალში ლელო საერთოდ არ გასულა, ლომუ კი „ქურციკებმა" 15-ჯერ (!) დაიჭირეს.

რას აღარ უწოდებდნენ ახალზელანდიელთა ამ ჯილას: ფეხებზე შემდგარ მაგიდა-მთას (ეს მთა ქეიფთაუნს დაჰყურებს), ვეშაპს, არანორმალურს, ბუნების შეცდომას, ადამიან-მარტორქას, ღმერთს, ამოძრავებულ ბრინჯაოს ქანდაკებას. ერთმა აფრიკულმა გაზეთმა ფაქსის ნომერიც კი გამოაქვეყნა და ხალხს მოუწოდა, იდეები მოგვაწოდეთ, ეგ სუპერმენი როგორმე რომ ავალაგმვინოთ ჩვენებსო.

ზელანდიელები აშკარა ფავორიტები იყვნენ. მათ გაანადგურეს იაპონია და ოთხივე ბრიტანული ქვეყნის გუნდებიც გააპამპულეს, თან ისე, რომ ლომუმ თითოეული მათგანი დალახვრა. ამის გამო იყო, იოჰანესბურგელი ბუქმეიქერები ფინალის პირველი ლელოს გამტანად ლომუს დასახელებაზე ფსონებს 4:1 შეფარდებით რომ იღებდნენ.

ფინალმა ცხადად გვიჩვენა, რომ ბრიტანული რაგბი ერთია, ხოლო სამხრეთული — სულ სხვა. რა თქმა უნდა, „ოლ ბლექსზე" იმოქმედა გადამწყვეტი მატჩის ერთობ დაძაბულმა ატმოსფერომ და უთუოდ იმანაც, რომ სტუმრად ეთამაშებოდა მსოფლიოს ყველა დროის უძლიერესი სარაგბო სკოლის გუნდს, რომელიც ობიექტურად თუმც ოდნავ მაინც ჩამოუვარდება ზელანდიისას, მაგრამ მამა-პაპათა მადლი რომ სცხია, უდაოა.

მღელვარებამ „ქურციკები" უფრო დასცადა. ავსტრალიასთან ჩემპიონატის გახსნის თამაშისა არ იყოს, მასპინძლებმაც მთლად ყოჩაღად ვერ დაიწყეს. მე-3 წუთზე ზელანდიამ პირველი შიში აჭამა მასპინძლებს: მოკლე ფრთაზე ოზბორნმა და ბრუერმა შეუტიეს, შეჯგუფებიდან გამოსული ბურთით კი ლითლმა გაინავარდა, მაგრამ ლომუ თამაშში ვერ ჩაერთო. შემდეგივე იერიშისას ეხლა უკვე მეორე შუამარბი — ბანსი გაიჭრა წინ, რაც პირველი სამი ქულის მოპოვებით დასრულდა.

მასპინძლები თანდათან მოვიდნენ გონს. ლერუმ ბურთი თავისი ნახევრიდან წამოიღო, სტრანსკიმ კი ფეხით მეტოქის 22-ში ჩააგდო. დერეფნიდან პინარმა, კრუგერმა, ფანდერვესტჰოიზენმა და სტრანსკიმ შეუტიეს და საგოლე საჯარიმოც დაიმსახურეს 3:3, თუმც „ოლ ბლექსმა" უმალ „ჯვარი" გააკეთა და შუამარბებზე ლომუ მიუშვა. აქ მოხდა სასწაული: ზღვისრეთელი ხვადაგი კი გაექცა სტრანსკისა და კაპიტან პინარს, მაგრამ კაცურად შებოჭა ყველაზე გონიერმა, მოხდენილმა და გამხდარმა ფანდერვესტჰოიზენმა, რითაც ბრიტანელთა სიდედლე ერთხელაც დამტკიცდა.

მართალია, ამ ეპიზოდის შემდეგ წარმოქმნილ ზედახორაში მასპინძლებმა ბურთი ჩაახშვეს და მორიგი სამი ქულით იზარალეს, მაგრამ გული კი უთუოდ მიეცემოდათ და თამაშის ბოლომდე ლომუ აღარც გაუხარებიათ. ეს გაქანებული გოლიათი ხან ვისი კერძი ხდებოდა და ხან ვისი: ფანდერვესტჰოიზენმაც წააქცია, ლერუმ და მულდერმაც, და თვით ხელმტკივანი ჟუბერიც გაერია მარაქაში.

ისიც ჩანდა, რომ „ქურციკთა" დაცვა ბევრად აღემატებოდა ბრიტანელებისას: თუ ამათთან თამაშისას ზელანდიელებს მუდამ დიდი გასაქანი ჰქონდათ, რისი წყალობითაც მთელი უკანა ხაზი დიდებულად ბურთაობდა, „ქურციკები" იმდენად კარგად იყვნენ ორგანიზებული და შუამარბების საბრძანებელშიც მეტოქეს ისე მარჯვედ ბოჭავდნენ, რომ „ოლ ბლექსი" იძულებული იყო, უამრავი ხერხი ეხმარა უპირატესობის მისაღებად: ეკეთებინა ჯვრები, ჩარბენები, გამოტოვებანი, შემორბენანი და ასე შემდეგ, ბოლოს კი შვიდკაცაზეც გადასულიყო. სტუმრების ამდენი მცდელობა ამაო გამოდგა: არათუ ლელო ვერ გაიტანეს, ერთი სალელოე მომენტი რაა, ისიც კი ვერ შექმნეს. დიახ, ყველანი კარგნი იყვნენ, მეტადრე კი ლითლი, ბანსი და ვილსონიც, მაგრამ სადღა იყო მათი ფინალამდელი ფხა — ყველანი იმ ჩვეულებრივ მოკვდავებს ჰგავდნენ, ამ მსოფლიო თასამდე მთელი სამი წლის მანძილზე ხან ავსტრალიასთან, ხან ინგლისთან და ხანაც საფრანგეთთან რომ აგებდნენ ხოლმე.

„ქურციკების" შერკინება მეტოქისაზე მძიმე იყო და მეტწილად კიდეც ერეოდა, ტაქტიკა კი მასპინძლებს მეტოქეზე უკეთ შეერჩიათ: მორკინალებს ატევინებდნენ, მერე კი ფანდერვესტჰოიზენი, სტრანსკი, ჟუბერი და ვილიამსი ფეხით ერთობ ზუსტად ურტყამდნენ. „ოლ ბლექსმა" აფრიკელთა ამ თამაშს ბევრი ვერაფერი დაუპირისპირა.

ამ ხერხებით „ქურციკებმა" მე-20 წუთზე ჯგუფური, ძალისმიერი ლელოც გაიტანეს, მაგრამ მსაჯს ეტყობა, მოერიდა, აქაო და მასპინძლების მხარდაჭერა არ დამაბრალონო და დამიწება არ ჩაუთვალა, თუმც „ქურციკებმა" უმალ საჯარიმო მოიპოვეს და ანგარიში გაათანაბრეს, ექვსი წუთის შემდეგ კი სტრანსკის, ენდრიუზისა და ფანდერვესტჰოიზენის იერიშების შემდეგ კიდევ მიეცათ ბურთის კარში გატანის შანსი, რაც სტრანსკიმ ვეღარ გამოიყენა.

აქ ტრიბუნები ამღერდნენ. ჩამოწვა მცირე პაუზა, მერე კი „ოლ ბლექსმა" შერკინებიდან მოკლე ფრთაზე შეატევინა ლომუს, კრონფელდის მეთაურობით ბევრი ზელანდიელი ცოტა აფრიკელის პირისპირაც დარჩა, მაგრამ ბურთი წინ გაუვარდა. ორი წუთის შემდეგ „ქურციკებმა" ლიგის რაგბის ყაიდაზე სათითაოდ შეატევინეს მთელ მესამე ხაზს, 9 ნომერს, კვაჭს, მერე მარაოს ბოლოში ჩაერთო ჟუბერი, შეფერხების შემდეგ კი ბურთი მიიღო სტრანსკიმ, რომელმაც ნაპირიდან კარგად დაარტყა არეკნით 9:6.

შესვენებამდე სტუმრებმა ლომუ ორჯერაც ჩართეს თამაშში, მაგრამ მასპინძლებმა იგი ორივეჯერ შებოჭეს. დაიწყო მეორე ნახევარი და „ოლ ბლექსმაც" თანდათან იძალა. ამ დროიდან დერეფანში აიშვა იენ ჯოუნზმა და „ქურციკებს" არაერთი გადამწყვეტი ბურთი მოუგო, რამაც მასპინძლებს საფუძვლიანად აუბნია თავგზა: ბურთს თუ იხელთებდნენ, კიდეზე აგდებდნენ, მაგრამ მერე დერეფანში ჯოუნზი უკეთ ახტებოდა და „ოლ ბლექსსაც" საიერიშოდ შესანიშნავი პლაცდარმი ჰქონდა. შემთხვევითი როდია, რომ ამ პერიოდზე მოვიდა ლომუს იერიშების მეტი წილი.

„ოლ ბლექსმა" ანგარიში მეორე ნახევრის მე-17 წუთზე გაათანაბრა: ლითლის გამოხდომის შემდეგ შეიქმნა რაქი, იქ მოგებული ბურთი კი მერთენსმა ახლოდან არეკნით დაარტყა 9:9. ერთი წუთით ადრე და კიდევ ერთი წუთის შემდეგაც ოზბორნი უმწეოვესად ჩაერთო შეტევებში, მაგრამ კიდეზე გადავიდა — „ქურციკებს" შუამინდორი მტკიცედ ჩაეკეტათ.

ამასობაში დაშავდა ვილსონი — თავში მაგრად მოხვდა და მის ნაცვლად შესულმა ელისმაც თამაშის ბოლოსთვის აურია. მერთენსმა არეკნები გააგრძელა, მაგრამ 22-ე და 24-ე წუთებზე „ქურციკები" კიდევ მიეახლნენ „ოლ ბლექსის" ლელოს და მოკლე ფრთაზე ჟუბერსა და სმოლს ორჯერ შეატევინეს, მაგრამ ჯოუნზმა და მერთენსმა ისევ განმუხტეს ვითარება.

ამის შედეგად თამაში ერთგვარად კალაპოტში ჩადგა, შეიცვალა კიდევ ორი მოთამაშე, ტაიმის დასკვნით ათ წუთში კი მასპინძლებმა დიდი შიში ჭამეს. ლომუმ კიდევ ორჯერ მიიღო ბურთი, მაგრამ ფანდერვესტჰოიზენმა ისევ შებოჭა. თამაში ასეთი შაბლონით წარიმართა: სტრანსკი წინ არტყამდა ბურთს, სისხლდენაშეჩერებული ბეშოფი კი მას მეტოქის ზურგისკენ აგორებდა. თამაში „ქურციკთა" 22-თან იყო.


ჯოელ სტრანსკი

ლითლი ორჯერ შეეჯახა მეტოქეებს, მეორე ზედახორიდან მიღებული ბურთი კი მერთენსმა არეკნით ვერ გაიტანა, თორემ მასპინძლებს ვეღარაფერი იხსნიდა.

საერთაშორისო რაგბის ისტორიაში პირველად დაინიშნა ძამატებითი დრო, რომლის დასაწყისშიც მსაჯმა შენიშნა, რომ ფანდერვესტჰოიზენის დარტყმისას მულდერი წინ ყოფილიყო. მერთენსმა მოედნის შუახაზიდან უკანასკნელად დააწინაურა თავისიანები 12:9, მაგრამ „ქურციკები" აქ უკვე საბოლოოდ გაზელდნენ და დიდი ავანტურაც გააჩაღეს: ვილიამსმა თავისი ნახევრიდან შეუტია, მერე კი ფანდერვესტჰოიზენმა, სმოლმა და სტრანსკიმ მოკლე ფრთაზე გაინავარდეს, მაგრამ მსაჯმა შეაჩერა, ბურთი წინ მიაწოდეთო. უმალ ისევ ბანსმა და ლომუმ შეუტიეს, მაგრამ ეს უკანასკნელი სმოლმა შებოჭა.

ამ დროს „ქურციკებს" იღბალმა მოწყალე თვალით გადმოხედა: მოედანზე შესულმა ურჯუკმა ზელანდიელმა ბურჯმა ლოუმ დაწიხლა ხალხის რჩეული ვილიამსი. მასპინძლებმა თამაში მეთოდურად გადაიტანეს მეტოქის ნახევარზე და სტრანსკის მორიგი აბრაგანის შემდეგ საჯარიმოც დაიმსახურეს — მეტოქემ



„ოლ ბლექსი" „ჰაკას" ცეკვით თანდათან ერთობ მიუახლოვდა „ქურციკებს"

რაქი ჩააქცია. ანგარიში გათანაბრდა 12:12.

„ქურციკებს" ფრე ხელს არ აძლევდათ, ვინაიდან მეტოქეებს ყველა მაჩვენებელი ტოლი რომ აღმოაჩნდებოდათ, „ოლ ბლექსი" გამარჯვებულად გამოცხადდებოდა იმის გამო, რომ აფრიკელებს მთელი შეჯიბრების მანძილზე მეტი გაძევებული ჰყავდათ — ერთი არცერთის წინააღმდეგ. ამ დროისთვის „ოლ ბლექსი" უკვე ერთობ ნირწამხდარი ჩანდა, „ქურციკთა" მორკინალებმა და სტრანსკიმ კი თამაში ისევ მეთოდურად გადაიტანეს მეტოქის 22-ში და სტრანსკიმაც დიდი არეკნი შეაგდო 15:12.

ბანსმა შეუტია; ლითლს რაღაც ეტკინა, მაგრამ მოედანზე დარჩა. „ოლ ბლექსი" ამჩატდა, მერე კი ელისმა ორჯერ ვერ დაიჭირა ბურთი. ოზბორნის, ზინზანის, ლომუსა და კრონფელდის იერიში კიდეზე მოიგერია სმოლმა, მაგრამ ორთავა კუნთი დაეჭიმა. მერე ელისმა და ოზბორნმა ისევ გაიბრძოლეს, მაგრამ გზის შეკვრისთვის დაჯარიმდნენ.

ისევ „ქურციკთა" იერიშის ჯერი დადგა. ბურთი წინ წაიღო კრუგერმა, მაგრამ კრონფელდი წაქცეულს ლააწვა და დაჯარიმდა, რის შემდეგაც ლოუმ მავანთა საცემრად გაიწია. აქ სტრანსკიმ ჭკუა იხმარა — გასატანი საჯარიმო ოდნავ ააცილა კარს, თორემ სხვაობა ექვსი ქულა კი გახდებოდა, მაგრამ „ოლ ბლექსი" მეტოქის ნახევარზე დაბრუნდებოდა და ვინძლო ლელ[ო] გაეტანა, გარდაესახა და თამაში მაინც მოეგო.

ზელანდიელებმა 22-დან ვერ გამოიტანეს ბურთი. ის ფენტერს ჩაუვარდა ხელთ. სტუმართა ლელოსთან დაინიშანა შერკინება. „ქურციკები" მიაწვნენ, მერე კი საბოლოო სასტვენიც გაისმა, რამაც ქვეყანას ამცნო, რომ მსოფლიო თასი ამ მესამედაც სამხრეთი ნახევარსფეროს წარმომადგენელმა — სამხრეთმა აფრიკამ მოიგო.

ორი დღით ადრე ჩრდილოეთი ნახევარსფეროს ორმა გუნდმა მცირე ფინალი გამართა. პრეტორიის სტადიონზე შეკრებილმა 44 ათასმა მაყურებელმა შესვენებაზე გაბმული სტვენა მორთო — ერთობ მოვიწყინეთო. ინგლისს ვერც ამან უშველა, ფრანგები კი ლაზათიანად აბურთავდნენ, გაიმარჯვეს და მესამე ადგილი დაიჭირეს.

**უჩა დავითაშვილი**

---

რაგბის მესამე მსოფლიო თასი
ფინალი
24.VI. იოჰანესბურგი. „ელის პარკი"
62 500 მაყურებელი
მსაჯი ედ მორისონი (ინგლისი)
(41 + 43; დამატებითი დრო 11 + 12)
თანამსაჯები: ჟოელ დიუმე (საფრანგეთი)
დერეკ ბევანი (უელსი)

**სამხრეთი აფრიკა — ახალი ზელანდია**

**15 (9) (9) — 12 (9) (6)**

| | | |
|---|---|---|
| ჟუბერი | 15 | ოზბორნი |
| სმოლი | 14 | ვილსონი |
| მულდერი | 13 | ბანსი |
| ლერუ | 12 | ლითლი |
| ვილიამსი | 11 | ლომუ |
| სტრანსკი | 10 | მერთენსი |
| ფანდერვესტჰოიზენი | 9 | ბეშოფი |
| დიურანი | 1 | დაუდი |
| რუსო | 2 | ფითსპატრიქი (კაპ) |
| სვორთი | 3 | ბრაუნი |
| ვიზე | 4 | ი. ჯოუნზი |
| სტრაიდომი | 5 | რ. ბრუქი |
| (კაპ) პინარი | 6 | ბრუერი |
| კრუგერი | 7 | კრონფელდი |
| ენდრიუზი | 8 | ზ. ბრუქი |
| ჯონსონი | 16 | ელისი (14) 59' |
| (14) 103' ფენტერი | 17 | ქელეინი |
| რუ | 18 | სთრონი (9) 70'-74' |
| (8) 97' სტრაული | 19 | ჯოზეფი (6) 42' |
| (3) 71' პეიგელი | 20 | ლოუ (1) 88' |
| დროცკე | 21 | პიუითი |

ანგარიში

| | | |
|---|---|---|
| | 0:3 | მერთენსი 6' (ს) |
| 11' (ს) სტრანსკი | 3:3 | |
| | 3:6 | მერთენსი 13' (ს) |
| 22' (ს) სტრანსკი | 6:6 | |
| 32' (ა) სტრანსკი | 9:6 | |
| | 9:9 | მერთენსი 58' (ა) |
| | 9:12 | მერთენსი 86' (ს) |
| 95' (ს) სტრანსკი | 12:12 | |
| 98' (ა) სტრანსკი | 15:12 | |

მატჩი მესამე ადგილისათვის
22.VI. პრეტორია. „ლოფტუს ფერსფელდი"

**საფრანგეთი 19 (3) — ინგლისი 9 (3)**

მსაჯი დ. ბიშოფი (ახ. ზელანდია) (41 + 44)
საფრანგეთი: სადურნი; ნტამაკი, სელა, ლაკრუა, სანტანდრე (კაპ); მენელი, გალთიე; ბენეზეში, გონზალესი, კალიფანო; მერლი (ბრუზე, 34, დროებით), რუმა; ბენაზი, კაბანი, სიგანია. — 2ლ: ჯგუფური - რუმა (59), ნტამაკი (80); 3ს: ლაკრუა (41, 42, 57)
ინგლისი: ქეთი; პანთერი, ქარლინგი (კაპ), გასქოთი, რ. ანდერვუდი; ენდრიუ, მორისი; ლენარდი, მური, უბოგუ; ჯონსონი, ბეიფილდი; როდბერი, ქლარქი, ოჯომო. — 3ს: ენდრიუ (27, 48, 62)

---

დამრტყმელთა: ჯ. სტრანსკისა და ე. მერთენსის შეჯიბრი



ლეგენდა: • საჯარიმო ○ არეკნი ◯ გატანილი 47' დაარტყა ჟუბერმა

---

საქართველოს პირველობა. პირველი ჯგუფი
21.VI. ვაკე. ნაავდრალი

**ყოჩები 10 (7) — აია 28 (14)**

მსაჯი ლ. მგელაძე (43 + 43)
ყოჩები — ლ: 14 მხეიძე (17); გ და ს (58): 10 ტეფნაძე
აია — 2ლ: 14 ძონენიძე (10), 7 რეხვიაშვილი (76); 3ს: ნ. ძაგნიძე (38, 42, 56); 3ა: ნ. ძაგნიძე (25, 71), 12-10 ე. ძაგნიძე (81)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია-პეი | 8 | 7 | 1 | 0 | 268: 67 | 37- 6 | 15 |
| გუმარი | 7 | 5 | 1 | 1 | 117: 71 | 10- 5 | 11 |
| თბილისი | 7 | 3 | 2 | 2 | 149: 92 | 21- 6 | 8 |
| ყოჩები | 7 | 3 | 0 | 4 | 113:154 | 10-15 | 6 |
| აზოტი | 6 | 1 | 0 | 5 | 72: 79 | 6- 8 | 1 |
| აიეტი-ქსუ | 7 | 0 | 0 | 7 | 40:299 | 4-48 | -1 |

ვაკეში: დღეს გუმარი — აზოტი; ხვალ თბილისი — ყოჩები



# დაუმარცხებელი იუგო-ხორვატები

## ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 22 ივნისი

„ბ" ჯგუფი.

ესპანეთი — ფინეთი 87:74

„ა" ჯგუფი

ლიტვა — საბერძნეთი 89:73

ისრაელი — შვედეთი 87:62

პარასკევი, 23 ივნისი

„ბ". თურქეთი — ფინეთი 81:79

„ა". იუგოსლავია — ლიტვა 70:61

იუგოსლავია: ჯორჯევიჩი (18), ბოდიროგა (13), დანილოვიჩი (8), პასპალი (2), დივაცი (14); რებრაჩა (6), ობრადოვიჩი (3).

ლიტვა: მარჩულიონისი (22), კურტინაიტისი (6), ლუკმინასი, კარნიშოვასი (7), საბონისი (18); კრაპიკასი, ეინიკისი (8), ხომიჩუსი, ტიმინსკასი

იუგოსლავია ფინალურ ეტაპზე ბოლოსლა დაუშვეს. ფიბას გენერალურმა მდივანმა, გაქნილმა ბებერმა ბორისლავ სტანკოვიჩმა თავის სამშობლოს პატივი სცა და აქაოდა, ძლიერი გუნდი არ დაიჩაგროსო, შესარჩევი ტურნირის გაუვლელად, დამატებითი წრე მოუწყო. სტანკოვიჩი ბოსნიელი სერბია, დაბადებულია ბიხაჩში, რომელიც დღემდე ვერ გაუყვიათ ბოსნიელ მუსლიმებს და სერბ ფედერალისტებს.

ეს ისე, ცნობისთვის, თორემ იუგოსლავია კარგი გუნდია, მართლაც ძალიან კარგი. დამატებითი ტურნირის მოგება რაა, ევროპის ჩემპიონობაზეც უჭირავს თვალი. ალბათ არავის ჰყავს ისეთი ძლიერი შემადგენლობა, როგორიც იუგებს. არის კიდევ ერთი ფაქტი, რაც ერთი შეხედვით ნაკლებად თვალშისაცემია, მაგრამ ბალკანელთა სიძლიერეზე მეტყველებს: მწვრთნელის დუშან ივკოვიჩის თანაშემწედ, არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის გასული წლის საუკეთესო მწვრთნელი ზელკო ობრადოვიჩი მუშაობს. ცხადია, ივკოვიჩს ძველი დამსახურებისთვის მიაგეს პატივი და ახალი იუგოსლავიის, ანუ სერბიისა და ჩერნოგორიის გაერთიანებული ნაკრების მწვრთნელად იმიტომ დანიშნეს, თორემ ობრადო-



ალექსანდრ ჯორჯევიჩი

ვიჩი, უკანასკნელი წლების შედეგებს თუ გავიხსენებთ, არათუ ერთი სახელმწიფოს, არამედ გაერთიანებული ევროპის ნაკრების მთავარ მწვრთნელობასაც დიდებულად შეიფერებდა. მოკლედ, ასე თუ ისე, ივკოვიჩს თამაში მიჰყავს, ზელკო კი ჩუმად ზის და იშვიათად თუ წამოისვრის ხოლმე რამე რეპლიკას. რას იზამ, ეროვნულ ინტერესებსაც ხომ უნდა გათვალისწინება.

არვიდას საბონისი ობრადოვიჩის გუნდში, „რეალ-მადრიდში" თამაშობდა და ზელკოზე კარგად მისი დღევანდელი ამბავი არავინ იცის. ამიტომაც იყო, რომ იუგების ცენტრს, „ლოს-ანჯელეს ლეიკერზის" მოთამაშეს ვლადე დივაცს საგანგებო დავალება ჰქონდა: ნებისმიერ ფასად ფარქვეშ ამოეკეტა ლიტველი და როგორმე სამწამიანი ზონიდან გაეყვანა. ასეც მოხდა, ლიტველმა ჯერ ცოტა გვერდზე გაიწია და ორჯერ კაუჭი და ნახევარკაუჭი უშედეგოდ ესროლა. მერე იძულებული გახდა ზემოთ აეწია, რითაც ფუნქცია დაკარგა. დივაცმა მისი მეურვეობა სავიჩს გადაანდო, რომ მის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ჩააგდო, როცა მისი გუნდი 19:31 აგებდა.

დაცვაში კი საბონისი დივაცს შეგნებულად არ გაეკარა, საკმაოდ დიდი იყო პერსონალურების დაგროვების შიში. კარნიშოვასი კი ვლადემ შეარცხვინა — თავზე გადატარებული ბურთი ჩაუტენა და მოსასვენებლად წავიდა. ლიტვას კომბინაციური თამაში არაფრით გამოუვიდა და მარჩულიონისის უშედეგო სამქულიანების იმედად ალმოჩნდა. იუგები კი ერთთავად ბურთს ათამაშებდნენ. ერთი პერიოდი საქართველოს ჩემპიონატიც გამახსენდა: ბოდიროგამ, დანილოვიჩმა და რებრაჩამ პასების იმისთანა კარუსელი დაატრიალეს, „ვითა" რომ უკეთებს ხოლმე მეტოქეებს. მერე კი სამქულიანებსაც მიხედეს და ჯორჯევიჩმა პირველი ზუსტი შორი სროლა მე-14 წუთზე შეასრულა. შემდეგ საბონისმა დივაცის მარწუხებისგან განთავისუფლება იგრძნო და თუ თავად ვერ შეუტია, ეინიკისს და კურტინაიტისს შეუწყო ხელი მიზნის მიღწევაში. შესვენებისთვის ანგარიში 27:33 კი გახდა, მაგრამ იუგოსლავლები ფარს 21:11 იგებდნენ, ხოლო პასებს — 8:2.

უხეიროდ შედგენილი განრიგის გამო ლიტვლებმა ხეირიანად გამოძინებაც ვერ მოასწრეს. წინა დღეს საბერძნეთთან უმძიმესი მატჩის შემდეგ ამგვარ შეხვდრაზე გამოსვლამ 13 საათში (!) მოუწიათ. ჩანს, შესვენებაზე ძალები ალიდგინეს და ბალკანელებს გამწარებით ეკვეთნენ: მარჩულიონისმა სამქულიანი ჩააგდო, საბონისმა ერთხელ დაამატა და ორი საჯარიმოც გამოიყენა. რალაც წუთნახევარში ბალტიელები 36:35 დაწინაურდნენ. ყველა გაშვებული ბურთი იუგების ერთადერთი ჩერნოგორიელის ჟარკო პასპალის სინდისზე იყო. ამიტომაც, ივკოვიჩმა სასწრაფოდ მოაშორა იგი მოედანს და მეტი აღარც შეუყვანია. ლიტვა კიდევ ორჯერ დაწინაურდა ორი ქულით: მარჩულიონისმა სამქულიანები ჩააგდო, მათ შორის ჯორჯევიჩმაც ჩაანაცვლა ანალოგიური ბურთი, ხოლო დივაცის ორმა საჯარიმომ წონასწორობა ალადგინა — 46:46.

მოგვიანებით საბონისმა სავიჩი გააგდო. ამ დროს ლიტველები სამ ქულას აგებდნენ. საბონისმა და მარჩულიონისმა შეტევის გამოტოვებით იჩქარეს: ორივემ მოუმზადებლად ესროლა სამქულიანები. პირველადაც და მეორედაც ბურთი რებრაჩამ აილო. მეტოქე ორჯერვე უხეშად ეთამაშა და ჯეელმა სერბმა ოთხიდან ოთხი საჯარიმო ჩააგდო — 63:58. საბონისმა ბურთი ჩაჭრა და მარჩულიონისს გადაუგდო, მაგრამ პროფესიონალმა შარუნასმა სკოლის მოსწავლისთვისაც ნაკლებსაპატიებელი შეცდომა დაუშვა — ტარებისას ბურთი ფეხზე მოირტყა და აუტში გადააგდო. ამას მოჰყვა ჯორჯევიჩის ორი საჯარიმო და გასავათებულმა ლიტველებმა მეტი წინაალმდეგობის გაწევა იმ დღეს ველარ შეძლეს.

„ა" გერმანია — შვედეთი 81:71

გერამნია: ნიურნბერგერი (12), კოხი (20), როდლი (8), გნადი (4), ველპი (11); კნორი (10), ვუპერერი (11), ფრეიერი, კინგი, ოზთურქი (5)

შვედეთი: პაკანსონი (2), გადეფორსი (6), გერკე (11), მარკუსი (6), სალსტრიომი (23); ვევრსი (10), ლუნდალი, ი.ლარსონი (7), ანდერსონი (1), კლარსონი (5).

მატჩი ერთადერთხელ დაიძაბა მეორე ტაიმში, როდესაც შვედი მათიას სალსტრიომი ფარქვეშ შევიდა, ბურთი ჩააგდო და მის წინაალმდეგ დაჯარიმებისთვის განკუთვნილი ერთი საჯარიმოც მიაყოლა. ამ მომენტში სხვაობა 4 ქულამდე შემცირდა. მაგრამ დამთავრებამდე 3 წუთით ადრე სალსტრიომმა ხუთი პერსონალურის გამო მოედანი დატოვა და შვედების იმედებიც თან გაიყოლა.

„ბ". საფრანგეთი—ესპანეთი 86:75

საფრანგეთი: ფორტე (12), რიგოდო (11), ბონატო (23), ოსტროვსკი (14), ბილბა (14); სონკო (2), ტ. გადო (8), დ. გადო (2)

ესპანეთი: ლასო (5), ორენგა (10), სმიტი (17), მარტინესი (8), რეიესი (9); მარტინი (7), ერეროსი (5), ფერნანდესი (8), გალილეა (5)

საფრანგეთი ორიგინალური გუნდია: ორი ნომინალური ცენტრი ჰყავს — ფრედერიკ დომონი (203 სმ) და ფრანკ ბიუტე (210 სმ), მაგრამ არცერთი მოედანზე ერთი წამითაც კი არ გამოუყვანია. უცენტროდ ყოფნამ ვერაფერი დააკლო ფრანგებს: პირველი ტაიმის შუაწელში ისინი 12:0 „გაიქცნენ" და ეს სხვაობა ბოლომდე შეინარჩუნეს. შესანიშნავად ითამაშა ფრთამ იან ბონატომ, ვინც შესვენებამდე 19 ქულა მოაგროვა. ესპანელებმა კი დაცვის ყველა კარი გაალეს და მანამ არ მიხედეს თავს, სანამ 192-სანტიმეტრიანმა ზანგმა გამთამაშებელმა მუსტაფა სონკომ სამარცხვინოდ არ ჩაუტენა ბურთი.

მეორე ტაიმში ესპანეთმა ერთი გაიფაფხურა, ორწუთიანი მონაკვეთი 7:0 მოიგო, მაგრამ ანტუან რიგოდოს ორმა სამქულიანმა სტატუს-ქვო ალადგინა.

„ა". საბერძნეთი — იტალია 67:61

საბერძნეთი: იანაკისი (16), სიგალასი (10), ხრისტოდულუ (19), ანგელიდისი, ფასულასი (12); ეკონომუ (2), რენციასი (2), პატავუკასი, ალვერტისი (6), კაკიუსისი.

იტალია: კოლდებელა (6), ესპოზიტო (15), პიტისი (12), რუსკონი (12), მანიფიკო (7); კონტი (1), ფუჩკა (7), კარერა (1), ჯენტილე, აბიო.

დასაწყისში ჩინებულად მოთამაშე იტალიელებიდან სტეფანო რუსკონი მაინც გამოირჩეოდა. ამ 27 წლის მოთამაშემ, ვისაც მომავალ სეზონში „ფინიქს სანზი" იხმობს, შავი დღე აყარა ბერძენთა ლეგენდარულ ცენტრს პანაიოტის ფასულასს: სამნახევარ წუთში ორი ბურთი თავზე გადაუგდო და სამი პერსონალურიც მიალებინა. იტალია ამ დროისთვის 9:2 იგებდა. შემდეგი დაწინაურება 19:13 იყო, როცა ესპოზიტომ და კოლდებელამ სამქულიანები ჩააგდეს. მაგრამ რად გინდა: იტალიელებმა პირველად უპირატესობა ქარს, ანუ ხრისტოდულუს გაატანეს, მეორედ — იანაკისს. ტაიმი მაინც აპენინელებმა მოიგეს: ერთთავად დასწრებაზე იყვნენ და ამ სისწრაფით სჯობნიდნენ მეტოქის მობერებულ კალათბურთელებს.

ბერძენთა მწვრთნელმა მაკის დედრინოსმა ჭკვიანური გადაწყვეტილება მიიღო: ინდივიდუალისტი იანაკისი სათადარიგო კაკიუსისით შეცვალა, ამან მთელი გუნდი პასებით მოამარაგა და შედეგიც გაჩნდა — მასპინძლები 45:42 დაწინაურდნენ. ათამაშდა ფასულასიც — ორჯერ ნახევარკაუჭები ჩააგდო. სამაგიეროდ, ჩაფლავდა ეკონომუ — მან გააკეთა ყველაფერი, რაც არ უნდა გააკეთოს მაღალი კლასის მოთამაშემ: აიღდა ჯარიმები, ბურთი მრავალჯერ გააგდო ხელიდან, „ცარიელ ფარში" ვერ ჩააგდო, გარბენებიც მიითვალა. ამასობაში დადგა ორწუთნახევრიანი მონაკვეთი, რომელშიც ვერცერთმა მხარემ ქულაც კი ვერ გაახერხა. მაშინ ანგარიში 56:54 იყო ბერძენთა სასარგებლოდ. არადა, მისი შეცვლის შანსი უამრავჯერ იყო: ესპოზიტომ და რუსკონიმ ორ-ორი საჯარიმო გააფუჭეს. მათ შორის ფასულასსაც იგივე დაემართა. შემდეგ გუნდებს „ნათელი პერიოდი" დაუდგათ: ალვერტისმა და ესპოზიტომ სამქულიანები გაცვალეს. კულმინაცია კი მაშინ დადგა, როცა ხრისტოდულუმ ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო, რუსკონიმ კი ვერცერთი. გულგატეხილ იტალიელებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ, თუმცალა არც მსაჯებმა მისცეს ამის საშუალება.

„ბ" ხორვატია — რუსეთი 100:94 (ოვერტაიმში)

ხორვატია: მარიჩი (4), პერასოვიჩი (7), კომაზეცი (29), კუკოჩი (17), რაჯა (18); ალანოვიჩი (2), მრშიჩი (13), ს. ვრანკოვიჩი (10), გრეგოვი.

რუსეთი: ბაზარევიჩი (15), ბაბკოვი (27), პანოვი, ფეტისოვი (6), მიხაილოვი (4); კარასიოვი (14), კუდელინი (15), დომანი, ნოსოვი (13).

ჩემპიონატის წინ რუსების მწვრთნელი სერგეი ბელოვი, რომელიც ამავდროულად ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტიცაა, გამუდმებით ამბობდა: კარგი გუნდი მყავს და იმასლა ვშიშობ, მსაჯებმა არ დამიჩაგრონო. ბელოვს გუნდი მართლაც კარგი ჰყავს, მაგრამ მსაჯობაზე ძვირი ნამდვილად არ ეთქმის. ზუსტად საჭირო მომენტებში არბიტრები რუსების სასარგებლოდ წყვეტდნენ ყველაფერს. ასე რომ, მთელი მატჩის განმავლობაში ბელოვის გაუთავებელი აპელაციები, ცოტა არ იყოს, „გალმა შეედავეს" პრინციპზე იყო აგებული. თანაც, დამთხვევა იყო თუ რა, საბერძნეთი—იტალია რუსმა გრიგორიევმა იმსაჯა, ხორვატია—რუსეთი — ბერძენმა პიელებს. სხვათა შორის, ირიბემ ტენდენციურად...

ხორვატებმა მატჩი უცენტროდ დაიწეს: ვრანკოვიჩის ადგილას რაჯა გადაიყვანეს, ხოლო მისი ადგილი კუკოჩმა დაიკავა. რაჯამ დასაწყისშივე დაჩაგრა მიხაილოვი, ხოლო კუკოჩმა ორჯერ წაართვა ბურთი ფეტისოვს — 8:0. ბელოვმა წუთშესვენება აილო და ერთდროულად სამი კალათბურთელი შეცვალა (ბაზარევიჩი კარასიოვით, ბაბკოვი დომანით, პანოვი კუდელინით). ამაზე ხორვატები მთლად გადაირივნენ და



ტონი კუკოჩი

უფრო გამმაგებით შეუტიეს: კუკოჩმა ლამის იყო ლექცია წაიკითხა თემაზე: „ბურთის ფლობა და ჩაგდება ფარქვეშიდან", ხოლო კომაზეცი ნებისმიერი წერტილიდან ზუსტად ბომბავდა კალათს. 30:13-ზე ხორვატებმა აგდებულად დაიწყეს თამაში. ხოლო მათმა მწვრთნელმა ალექსანდრ პეტროვიჩმა მოედანზე მეტად ეკლექტიკური ხუთეული დატოვა. რუსებსაც მეტი რა უნდოდათ, ხელად 14:2 მოიგეს დროის მცირე მონაკვეთში. იგორ კუდელინმა კი ისეთი მანძილებიდან ჩააგდო ორი სამქულიანი, მეტოქის აღტაცებაც კი დაიმსახურა.

ხუთი ქულით მოგებული ტაიმის (44:39) შემდეგ კუდელინს კი მიხედეს, მაგრამ ახლა მეორე სნაიპერმა აიწყვიტა: მალაგის „უნიკახას" მოთამაშემ სერგეი ბაბკოვმა იმდენი ქნა, რომ პირადად შეამცირა ანგარიში ერთ ქულამდე (57:56). სამაგიეროდ, გათახსირდა ანდრეი ფეტისოვი, ვინაც ორჯერ დიდებული პასი მისცა მეტოქეს. მთავარი ის გახლდათ, რომ ხორვატებმა ვერ შეირგეს ეს საჩუქრები: მრშიჩი მარტო გავიდა ფარზე და ბურთი რგოლს მოარტყა, ხოლო გრეგოვმა პირდაპირ ტელეოპერატორს დაუმიზნა და ზუსტადაც მოახვედრა. მოკლედ, ამ დიდად არეულ თამაშში ბაზარევიჩმა ორი საჯარიმოთი კვლავ ერთი ქულით შეამცირა ანგარიში — 68:69. რუსებმა ორჯერ დაკარგეს დაწინაურების შანსი — ერთხელ ფეტისოვს დაუფარა რაჯამ, ხოლო 72:72-ზე ბაზარევიჩმა შედეგიანი გარღვევის შემდეგ ვერ ჩააგდო ერთი საჯარიმო. რუსები მაინც გავიდნენ წინ: ალანოვიჩმა ხელში ჩააბარა ბურთი ფეტისოვს, ამან კი ჩატენა — 78:76. კომაზეცის გარღვევას ბაბკოვმა ერთი საჯარიმოთი უპასუხა — 79:78. ძირითადი დროის დამთავრებამდე 28 წამით ადრე კუკოჩმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დიდი კალათბურთელია. მარჯვენა ფრთაზე მოედნის კიდეზე ალმოჩნდა და იმის განსჯაში იყო — პასი მივცე თუ სამქულიანი ვესროლოო. ბოლოს ჰაერში აიწია და ფარქვეშ მყოფ ვრანკოვიჩისთვის აპირებდა ბურთის მიცემას, როცა მისკენ დასაფარებლად გამოფრენილი ბაზარევიჩი შენიშნა. კუკოჩმა ჰაერშივე შეცვალა გადაწყვეტილება და რაწამს ბაზარევიჩმა ხელში ჩაარტყა, იმწამს ბურთი კალათისკენ გაუშვა. ასე წამოიკიდა ტონიმ ჯარიმაზე რუსთა კაპიტანი და სამივე სროლაც გამოიყენა — 81:78. ბოლო სამქულიანისთვის ბელოვმა [illegible] მაგრამ მას საქმეში ჩარევა არ ეღირსა: კარასიოვმა აღარ გარისკა და საშუალო მანძილიდან უეჭველი ორქულიანით თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა.

ოვერტაიმი კი არიან კომაზეცის ბენეფისად იქცა. მან სამქულიანით ხორვატია ოთხი ქულით დააწინაურა, შემდეგ კი 8 საჯარიმოდან 7 გამოიყენა. რუსებიც სწორედ მასზე, მეტოქის საუკეთესო სნაიპერზე ჯარიმდებოდნენ. მრშიჩმა 5 ქულა ჩააგდო, ვრანკოვიჩმა — 4.

24 ივნისი, შაბათი

„ბ". საფრანგეთი—თურქეთი 90:76

„ა". იუგოსლავია —იტალია 87:74

იუგოსლავია: ჯორჯევიჩი (22), დანილოვიჩი (18), პასპალი (8), სავიჩი (8), დივაცი (11); რებრაჩა (4), ბერიჩი (4) ბოდიროგა (7), ობრადოვიჩი (3), კოტუროვიჩი (2).

იტალია: კოლდებელა (3), ესპოზიტო (15), პიტისი (5), კონტე (4), რუსკონი; აბიო (7), ფუჩკა (19), ჯენტილე (11), კარერა (4), ფროსინი (6), პიერი.

ვლადე დივაცი გამორჩეული ფიგურაა. არა მხოლოდ პროფესიონალის სტატუსით, არამედ საქმისადმი პროფესიული მიდგომითაც. NBA-ში გატარებულმა წლებმა „დრაკულას" ის შესძინა, რომ მოედანზე ზედმეტს არაფერს გააკეთებს. მეტიც, ზედმეტად არ გაირჯება და არც ძალას დახარჯავს. დივაცმა ერთ მომენტში ჩათვალა საჭიროდ მთელი ძალით ამუშავება — საწყის შვიდ წუთში. ამ ხანში მან ყველაფერი გააკეთა და, რაც მთავარია, მაღალ დონეზე: ფარქვეშ ივარგა, ჩატენა, გამთამაშებლისთვისაც კი შესაშური სისწრაფით გარღვევა შეასრულა, პასები ჩამოარიგა და ბოლოს მთელი ნაღვაწი სამქულიანით დააგვირგვინა. როცა იუგოსლავია 13:0 დაწინაურდა, ვლადეს წილად 9 ქულა მოდიოდა, ხოლო როცა მოედნიდან გავიდა, იუგები 20:7 იგებდნენ.

დარჩენილ დროში ყველაზე დასამახსოვრებელი ის მოხდა, რომ მეორე ტაიმის საწყის 3 წუთში გუნდებმა ბურთი ვერ ჩააგდეს.

„ა" ისრაელი — გერმანია 78:60

ისრაელი: პანეფელდი (7), შეფერი (14), ჯამჩი (20), ლიფი (2), ფლეიშერი (7); დანიელი (8), გუდესი (16), მუპტარი (2), კოპენი, გორდონი, ბალული (2)

გერმანია: ნიურნბერგერი (5), კოხი (22), როდლი (8), გნადი (6), ველპი (8); ვუპერერი (7), კნორი, ფრეიერი, ოკულაჯა (4).

ისრაელმა პირველ ტაიმში ისე ითამაშა, აქამდე არც ერთ გუნდს რომ არ უთამაშია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ებრაელებმა თითქოს მოსპეს ამპლუის ცნება. ყველა მოთამაშე ერთნაირად სწრაფად დარბოდა და მაღლა ხტებოდა. მათი კონტრშეტევების ნახვა ხომ ერთ რამედ ღირდა: სწრაფი „პირველი პასის" შემდეგ ისე აგდებდნენ ბურთებს, გეგონებოდა, მეტოქედ ევროპის ჩემპიონი გერმანია კი არა, მშიერი გიმნაზისტების გუნდი ჰყავთო. ტაიმის ბოლოს ორივე ნაკრებს სტატისტიკური მონაცემები ერთნაირი კი ჰქონდა, მაგრამ ებრაელებმა ორჯერ მეტი ქულა ჩააგდეს (40:20). მიზეზი ის გახლდათ, რომ ისინი ყველაფერს ორჯერ სწრაფად აკეთებდნენ და გაოგნებული გერმანელები დაჯარიმებასაც ვერ ასწრებდნენ.

აქამდე ებრაულ კალათბურთს ერთი გამორჩეული ლიდერი ჰყავდა — დღესაც მოთამაშე დორონ ჯამჩი. იქაური კალათბურთი ამ კაცის სახელთან პირდაპირ იყო დაკავშირებული. ახლა ჯამჩის მოცილე გამოუჩნდა — 22 წლის შეფერი, ისიც დორონი. გალილ-ელიონის „ჰაპოელის" ყოფილმა უნივერსალურმა უკანაზელმა შარშან NCAA-ის ლიგაშიც დააჭაშნიკა თამაში და კონექტიკუტის უნივერსიტეტის შემადგენლობაში „დიდი აღმოსავლეთის" კონფერენციის წლის საუკეთესო ახალბედა გახდა. ამ მატჩში დორონ შეფერი კარგად გამოცდილი გამთამაშებლივით გაისარჯა და გუნდი ბრწყინვალედ აათამაშა.

პირველ ტაიმში გერმანელთა 20 ქულა მხოლოდ ოთხ კაცზე მოდიოდა, მერე აიშვა მიხაელ კოხმა, ვინც უშედეგო პირველი ნახევრის შემდეგ 22 ქულა მიითვალა.

ისიდეთ მეშვიდე გვერდი

# სიახლე სპორტის მოყვარულთათვის!

* „აიაქსის» წარმატებათა მთავარი საიდუმლო!
* მადამ მალახოვა დღეში 10 000 დოლარს თმობს?!
* «რეალმა» გვირგვინი დაიბრუნა!
* მეფეთა მეფე უეინ გრეცკი და კარის ინტრიგები...

უცხოური სპორტის

სარბიელი

ეროვნული

**მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთებიდან გადმოქართულებული ეს და სხვა საინტერესო რეპორტაჟები და ინტერვიუები ჩვენი გაზეთის დამატება-დაიჯესტში „უცხოური სპორტის სარბიელი“, რომლის პირველი ნომერიც ამ დღეებში გამოვა.**

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| ბოლო ორი მატჩის შედეგი: h - შინ, a - სტუმრად | 1 | X | 2 | 1ნრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|

ესპანეთის თასის ფინალი. 27 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| დეპორტივო - ვალენსია | 1,8 - 1,8 | | თასის აღება |

რუსეთის ჩემპიონატი. 28 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი - ცსკა | 1,8 | 2,6 | 2,8 |

კალათბურთი. ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი საბერძნეთში

| | 1 | | | | 2 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სხვაობა ანგარიშში | >30 | 21-30 | 11-20 | 1-10 | 1-10 | 11-20 | 21-30 | >30 |
| **27 ივნისი** | | | | | | | | |
| სლოვენია—საფრანგეთი. 11.30 | 5,0 | 2,8 | 2,0 | 1,6 | 1,8 | 2,5 | 4,0 | 8,0 |
| ხორვატია—ფინეთი. 13.30 | 2,0 | 2,0 | 2,0 | 3,0 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 50,0 |
| ისრაელი—იუგოსლავია. 15.30 | 10,0 | 6,0 | 3,5 | 2,0 | 1,5 | 2,0 | 3,0 | 5,0 |
| შვედეთი—ლიტვა. 20.00 | 50,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 2,8 | 2,0 | 1,8 | 2,4 |
| რუსეთი—ესპანეთი. 22.00 | 4,0 | 2,5 | 2,0 | 1,8 | 2,0 | 2,5 | 5,0 | 10,0 |
| გერმანია—საბერძნეთი. 24.00 | 25,0 | 10,0 | 5,0 | 3,0 | 2,0 | 1,8 | 2,2 | 3,0 |
| **28 ივნისი** | | | | | | | | |
| ფინეთი—სლოვენია. 11.30 | 30,0 | 15,0 | 7,0 | 3,5 | 2,0 | 1,8 | 2,4 | 2,8 |
| იტალია—შვედეთი. 13.30 | 3,0 | 2,2 | 1,8 | 2,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 |
| იუგოსლავია—გერმანია. 15.30 | 3,0 | 2,2 | 2,0 | 2,2 | 4,0 | 8,0 | 15,0 | 30,0 |
| თურქეთი—რუსეთი. 20.00 | 40,0 | 20,0 | 8,0 | 4,0 | 2,5 | 2,0 | 2,0 | 2,5 |
| ლიტვა—ისრაელი. 22.00 | 5,0 | 3,0 | 2,0 | 1,6 | 1,8 | 2,5 | 5,0 | 10,0 |
| საფრანგეთი—ხორვატია. 24.00 | 15,0 | 8,0 | 4,0 | 2,5 | 1,8 | 2,0 | 2,5 | 3,5 |

კოეფიციენტების შესაძლო კორექტივებს ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის" ფოიეში ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს; პარასკევსა და შაბათს 13-დან 16 საათამდე




# თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 1000 მანეთი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (1 000 მანეთი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე.

## ქვითრის შევსების ნიმუშები

| ქვითარი № 000000 | |
|---|---|
| ლივერპული — ჩელსი | 1 |
| 1 მილიონი კუპონი | |
| მილანი — ტორინო | 1 |
| ფოჯა — ინტერი | 2 |
| რეჯანა — რომა | 1 |
| 500 ათასი კუპონი | |

| ქვითარი № 000000 | |
|---|---|
| ლივერპული — ჩელსი | 1 |
| 1 მილიონი კუპონი | |
| მილანი — ტორინო | 1 |
| ფოჯა — ინტერი | 2 |
| რეჯანა — რომა | 1 |
| 500 ათასი კუპონი | |

| ქვითარი № 000000 | |
|---|---|
| მილანი — ტორინო | 1-0 |
| ფოჯა — ინტერი | 1X |
| კალიარი — სამპდორია | 2 |
| რეჯანა — რომა | X2 |
| რეჯანა — რომა | 1 |
| 4 X 500 000=2 000 000 | კუპ. |

| ქვითარი № 000000 | |
|---|---|
| მილანი — ტორინო | 1-0 |
| ფოჯა — ინტერი | 1X |
| კალიარი — სამპდორია | 2 |
| რეჯანა — რომა | X2 |
| რეჯანა — რომა | 1 |
| 4 X 500 000=2 000 000 | კუპ. |



# დაუმარცხებელი იუგო-ხორვატები

დასაწყისი მეხუთე გვერდზე

ერთი მონაკვეთი გერმანიამ 13:0 მოიგო და კოხმა მაშინ 11 ქულა ჩააგდო, როცა ანგარიში 52:42 გახდა, გუდესმა 2 სამქულიანი გააზერხა, მათ შორის შეფერმა გარლვევაზე გაიყვანა დანიელი და გერმანელთა სულის ქროლვაც ამით დასრულდა.

**„ბ“ რუსეთი — სლოვენია 92:82**

ამ წაგებით ზმაგო საგადინის (ლიუბლიანის „ოლიმპიაში“ ჩვენი ვოვა სტეფანიას ყოფილი მწვრთნელის) გუნდმა უკიდურესად გაირთულა მეოთხედფინალში გასვლის საქმე. ახლა ამის მისაღწევად სლოვენიელებს ესპანეთის დამარცხება სჭირდებათ. რუსთაგან თავი გამოიჩინა სერგეი ბაზარევიჩმა — 35 ქულა.

**„ბ“ ხორვატია — ესპანეთი 80:70**

ხორვატია: მარიჩი (7), პერასოვიჩი (3), კომაზეცი (25), რაჯა (6), ს. ვრანკოვიჩი (6); კუკოჩი (20), მრშიჩი (9), ალანოვიჩი (4).

ესპანეთი: ლასო (8), ორენგა (4), სმიტი (14), ერეროსი (18), რეიესი (12); მარტინესი (12), როდრიგესი, ფერნანდესი (2), ანგულო.

ერთი შეხედვით თანაბარ მატჩში ყველა იმას ელოდა,როდის აფეთქდებოდა ხორვატია და წინ გაიჭრებოდა. ამის მსგავსი რაღაც ტაიმის ბოლოს მოხდა, როცა მრშიჩმა ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო, ხოლო კუკოჩმა ფარქვეშ ამდენჯერვე, სამი კაცი ცრუ-მოძრაობაზე წამოიკიდა. მეორე ტაიმში ხორვატებმა მაინც დაიახლოვეს ესპანელები, მაგრამ ბოლოსკენ რასაც უნდა, იმას უკეთებდნენ.

**„ა“. საბერძნეთი — შვედეთი 86:68**

საბერძნეთი: კაკიუსისი (4), სიგალასი (4), ხრისტოდულუ (5), ანგელიდისი (19), ფასულასი (14); ალვერტისი (12), პატავუკასი (6), რენციასი (12), სტავრაკოპულოსი (2), იანაკისი (8)

შვედეთი: პაკანსონი (10), ი.ლარსონი (17), გერკე (14), მარკუსი (5), სალსტროიმი (1); ბლომი (3), ლუნდალი, გადეფორსი (8), ანდერსონი (5), ლეფვერტი, ვვერსი (5).

ყველაფერი მაშინ გაირკვა, როცა ბერძნები 10:0 დაწინაურდნენ. ერთადერთი გამორჩეული ის ამბავი იყო, მეორე ტაიმში რომ მოხდა: სალსტროიმმა ჩაუარა 19 წლის რენციასს და რაღაც ჩაულაპარაკა. პასუხად ბერძენმა ისე წაჰკრა ხელი ბეჭებზე სკანდინაველს, რომ ცხვირით იატაკზე გაასრიალა. ტექნიკურით შვედი დააჯარიმეს, რომელსაც მცირეოდენი პროტესტიც კი არ გამოუთქვამს. მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო ჩვენი ირაკლი ბაქრაძის ყოფილი არისელი თანაგუნდელი და მეგობარი, 25 წლის და 208-სანტიმეტრიანი დინოს ანგელიდისი.

26 ივნისი, ორშაბათი

**„ბ“. ხორვატია — თურქეთი 90:68**
**„ბ“. საფრანგეთი — ფინეთი 94:81**

**„ბ“. ესპანეთი — სლოვენია 88:85**

ესპანეთი: ლასო (3), ორენგა (5), სმიტი (12), ერეროსი (29), რეიესი (16); მარტინესი (10), ფერნანდესი (13).

სლოვენია: გორენცი (12), ზდოვცი (9) ხორვატი (2), კრალევიჩი (12), კოტნიკი (17); დანეუ (3), მილიჩი (14), ალიბეგოვიჩი (14), ტუშეკი (2).

„ჩვენი მიზანია, ესპანეთთან მატჩისთვის საკადრისად მომზადება. ეს არის ბოლო იმედი“ — განაცხადა სლოვენიის ნაკრების მწვრთნელმა ზმაგო საგადინმა ხორვატიასთან წაგების შემდეგ. ამის თქმიდან ოთხი დღე იყო გასული, მაგრამ ფრაზას აზრი სულაც არ დაკარგვია. სავარაუდოდ, ესპანეთი წააგებდა რუსეთთან დარჩენილ მატჩს, ხოლო სლოვენები სძლევდნენ თურქეთსა და ფინეთს. ჰოდა, ერთმანეთში მოგებულს გზა მეოთხედფინალისკენ ეხსნებოდა.

ესპანელთა მწვრთნელი ლოლო საინსი დიდი ექსპერიმენტატორი ვინმეა. შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატზე, აიღო და, გუნდი სულ ვეტერანებით დააკომპლექტა. ახლა კი, ზედ ევროპის ჩემპიონატის წინ... ყველაზა გუნდიდან დაფერთხა: სან-ეპიფანიო, ხიმენესი, კარგოლი, ძმები ხოფრესები. ვილიაკამპას და მორალესს ტრავმები ჰქონდათ. საინსმა 7 გუნდიდან უხმო ნაკრების წევრებს, უმეტესწილად ახალგაზრდობას. გასაოცარი ის გახლავთ, რომ ევროპის საკლუბო ჩემპიონ „რეალ-მადრიდიდან“ მხოლოდ უსახური ცენტრი ანტონიო მარტინი მოიწვია. რატომ არ შეხედა მოწყალე თვალით სანტოსს, კოლს, ანტუნესს (ისინი ხომ ვეტერანები არ არიან) კაცმა არ იცის.

თუმცა, ეს „შემადგენლობის ექსპერიმენტი“ ბავშვობა გახლდათ იმასთან შედარებით, რაც საინსმა გააკეთა. გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, მაგრამ ბოლო წამებამდე დონ ლოლოსა და მისი გუნდის ბედი ბეწვზე ეკიდა...

თავიდან ესპანეთი მძლავრობდა. მათს სწორ თამაშს სლოვენთა აურაცხელი შეცდომები დაემატა. თანაც, ექს-იუგოსლავიელებს, ცოტა არ იყოს, ბედი არ სწყალობდათ: მათი ნატყორცნი ბურთები არაფრით ჩადიოდა კალათში. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ჩავარდნილი ბურთები უკან ამოვარდებოდა ხოლმე. ტაიმის ბოლომდე 7 წუთით ადრე საგადინმა მეორე წუთშესვენება აიღო, რადგან უკვე 23:39 აგებდა.

ესპანელთა დაწინაურების მთავარი მიზეზი ფორვარდი ალბერტო ერეროსი გახლდათ. მადრიდის „ესტუდიანტესის“ 25 წლის 2-მეტრიან მოთამაშეს ზემოთ ნახსენები წუთშესვენებისთვის უკვე 20 ქულა ჰქონდა მოპოვებული და ყველაფერი გამოსდიოდა. საინსმა იგი სკამზე დასვა და სანაცვლოდ მარტინესი შეუშვა. სლოვენიელებმა კი სწორედ იგი დაიბრიყვეს და დაცვაში რიგიანადაც შეავიწროვეს. ცენტრმა კოტნიკმა ფარი დაიპყრო, ხოლო თეომან ალიბეგოვიჩი საშუალო მანძილიდან აგდებდა.

მეორე ტაიმში სლოვენია კიდევ უფრო გახელდა, მეტოქის ბურთები კი ძნელად ვარდებოდა. ერეროსის „არ გამოყვანის ექსპერიმენტი“ გრძელდებოდა. ალიბეგოვიჩმა მორიგი ქულები რომ მიითვალა, ზედიზედ ორჯერ დაჯარიმდა შეტევაში და მოედანიც დასტოვა. ცოტა ხანში მას კრალევიჩიც მიჰყვა, ხოლო ზდოვცსა და კოტნიკს ოთხ-ოთხი პერსონალური ჰქონდათ. თუმცალა, კრალევიჩის გავარდნისას ესპანელები მხოლოდ სამ ქულასღა იგებდნენ 71:68.

ლიუბლიანის „ოლიმპიის“ წევრს ტუშეკს მეტად საპატიო მისია დაეკისრა. ეს კაცი სულ ერთი წუთით შემოიყვანეს, მაგრამ ბურთის მიღებისთანავე უხეშად ეთამაშნენ და მანაც საჯარიმოებით ანგარიში გაათანაბრა 76:76. ესპანელებმა ბურთი წამოიღეს და ორენგას კოტნიკთან შეჯახება მეხუთე პერსონალურად დაუჯდა. სწორედ ამ დროს ერეროსი სკამიდან წამოდგა, მაგრამ 18 წლის მარკო მილიჩმა ორი ესპანელი ფარქვეშ ტყუილად აახტუნა და სლოვენია დააწინაურა. გაუგებარია, რატომ „ამწნილებდა“ საინსი ერეროსს, რადგან ამან ჯერ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო შემდეგ, ნახევრადწაქცეულმა წინ გაიყვანა თავისიანები. სლოვენიას გასწრების დიდებული შანსი მიეცა, მაგრამ გორენცმა და მილიჩმა ფარქვეშ ვერ ივარგეს. თუმცა სლოვენები ორი საჯარიმოს მაინც გამორჩნენ, რომელთაგანაც ერთი გამოიყენა მილიჩმა 83:84.

დამთავრებამდე 28 წამით ადრე კოტნიკმა იმდენ ხანს იტრიალა ფართან, სანამ სმიტი არ დააჯარიმა — 85:84. აქ კი ერეროსმა ყური არავის უგდო და 22 წამს ბურთი მარტომ ატარა. დამთავრებამდე 6 წამით ადრე კი მარცხენა მხრიდან ფინტებით წამოვიდა, ბურთიც ჩააგდო და საჯარიმოს სროლის უფლებაც მიიღო. ალბერტომ საჯარიმო ვერ ჩააგდო, მაგრამ სირენამდე 1 წამით ადრე ზდოვცის მილიჩისკენ გაშვებულ სახიფათო პასს თითებით მიწვდა, ჩაჭრა და მშვიდად ჩააგდო ის ორი საჯარიმო, მეტოქის მხრიდან უხეში თამაშისთვის რომ დაიმსახურა.

მერაბ რატიშვილი

| „ა“ ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 241-215 | 6 |
| საბერძნეთი | 4 | 2 | 2 | 306-302 | 6 |
| იტალია | 4 | 2 | 2 | 276-292 | 6 |
| ლიტვა | 3 | 2 | 1 | 246-195 | 5 |
| ისრაელი | 3 | 2 | 1 | 236-195 | 5 |
| გერმანია | 4 | 1 | 3 | 290-313 | 5 |
| შვედეთი | 3 | 0 | 3 | 201-254 | 3 |

ცხრილში შეტანილი არაა გუშინ ღამით დამთავრებული მატჩების შედეგები: იუგოსლავია — შვედეთი, საბერძნეთი — ისრაელი, ლიტვა — იტალია

| „ბ“ ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 4 | 1 | 424-385 | 9 |
| ხორვატია | 4 | 4 | 0 | 361-315 | 8 |
| ესპანეთი * | 5 | 3 | 2 | 405-395 | 8 |
| რუსეთი | 4 | 3 | 1 | 397-321 | 7 |
| თურქეთი | 4 | 1 | 3 | 309-330 | 5 |
| სლოვენია | 4 | 0 | 4 | 318-360 | 4 |
| ფინეთი | 4 | 0 | 4 | 308-388 | 4 |



## რვაათასიანები

ჯომოლუნგმაზე ასვლას ნებისმიერი მთამსვლელი ოცნებობდა, ოცნებობს და იოცნებებს კიდეც. რაც უნდა იყოს, ჯომოლუნგმა ხომ დედამიწის უმაღლესი მწვერვალი არის და ამით ყველაფერია ნათქვამი.

ჯომოლუნგმაზე მოფიქრალთა შორის იყვნენ ქართველი მთამსვლელებიც, რომლებსაც ოცნება ოცნებად დარჩათ. ზოგს კიდევ აქვს იმედი, რომ ადრე თუ გვიან მიზანს მიაღწევს, და იმედია მიაღწევს კიდეც. ერთმა კი აისრულა გულისწადილი, მაგრამ იყო დრო, როცა ჯომოლუნგმაზე ასვლა არა ერთსა და ორს შეეძლო. უფრო სწორედ, მათ საამისო შანსი მიეცათ, მაგრამ...



რომან გიუტაშვილი მწვერვალზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მივდივარ რადგან ევერესტი არსებობს

## ჯომოლუნგმა 8848

მაშინ, 1959 წელს, ჯომოლუნგმაზე მხოლოდ ინგლისელებისა და შვეიცარიელების თითო ექსპედიციის წარმომადგენლები იყვნენ ასულნი. დედამიწის უმაღლესი მწვერვალიდან მხოლოდ ექვს კაცს გადმოეხედა. მესამე ექსპედიცია, რომელიც მიზანს მიაღწევდა, იქნებ ქართველებისა გამომდგარიყო, რაკიღა 1959 წელს ინდოელებს მწვერვალამდე 218 მეტრი დააკლდათ. ამის მერე მწვერვალს მხოლოდ მეოთხე ექსპედიციამ მიაღწია 1963 წელს.

მაშინ კი, 1959 წელს საბჭოთა მთამსვლელები ჩინელ ალპინისტებთან გეგმავდნენ ჯომოლუნგმაზე მანამდე ბოლომდე გაუვლელ ჩრდილოეთ მხრიდან ასვლას. მათ ჩინელებთან ერთად პამირში ლენინის პიკზე სავარჯიშო ასვლაც მოაწყვეს. მერე საბჭოთა გუნდის სამკაციანი ჯგუფი ევგენი ბელეცკის მეთაურობით პეკინს გაფრინდა და ტიბეტის მხრიდან ჯომოლუნგმაზე 6000 მეტრ სიმაღლეზე ავიდა დაზვერვის მიზნით.

პეკინში გასამგზავრებლად, დათქმულ დღეს მოსკოვში თავი მოიყარეს საბჭოთა ექსპედიციის წევრებმა. მათ შორის ქართველი მთამსვლელები იოსებ კახიანი და მიხეილ ხერგიანიც იყვნენ. ექსპედიციის ბარგის ნაწილი უკვე გაგზავნილი იყო და ყველანი მღელვარებით ელოდნენ გამგზავრების დღეს...

1959 წელს კიდევ ერთი საბჭოთა ექსპედიცია — ქართველთა ექსპედიცია გეგმავდა ჯომოლუნგმაზე ასვლას. ისინი ფიქრობდნენ ნეპალის მხრიდან მიეტანათ იერიში მწვერვალზე.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1957 წელს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული ნეპალის მეფე რაჯენდრა თბილისსაც ეწვია. ქალაქის დათვალიერებისას მასპინძლებმა მეფე კიროვის პარკშიც მიიყვანეს. რა თქმა უნდა, მეფეს კიროვის პარკით ვერ გააკვირვებდნენ, მაგრამ იქ საქართველოს ალპური კლუბიც იყო. ჰოდა, მეფემ კლუბიც მოინახულა, ქართველი მთამსვლელებიც გაიცნო და მათი დიდი წარმატებებიც. მერე კი მთამსვლელებმა, როგორც დაგეგმილი ჰქონდათ, მეფეს მორიდებით შეაპარეს, ჯომოლუნგმაზე ვოცნებობთო.

მეფე აბა, რა მეფე იქნებოდა, თუკი მასპინძლებს ასეთ „უბრალო“ თხოვნაზე უარს ეტყოდა. მეფემ სიტყვიერ თანხმობას ერთი წლის მერე ოფიციალურიც მოაყოლა — 1959 წელს ევერესტი გელითო.

ევერესტზე ასასვლელად ემზადებოდნენ: ა. აბაშიძე, ზ. და ლ. ახვლედიანები, პ. გვარლიანი, ჯ. გუგავა, თ. კუხიანიძე, გ. მაჭარაშვილი, ჯ. მეძმარიაშვილი, შ. მირიანაშვილი, ნ. ნადირაშვილი, დ. ობოლაძე, ი. ყაველაშვილი, შ. ჩართოლანი, ს. ხაბეიშვილი, რ. და ო. ხაზარაძეები და მ. ხერგიანი.

სამწუხაროდ, ორივე ექსპედიცია ბოლო მომენტში ჩაიშალა. მიზეზად ის ითქვა, ტიბეტში პოლიტიკური ვითარება ფრიად გამწვავდაო, მაგრამ რა ხელი ჰქონდა საქართველოს ნაკრებს ან ტიბეტთან, ან საერთოდ ჩინეთთან და იმათ პოლიტიკასთან? ისინი ხომ ნეპალის მხრიდან აპირებდნენ ასვლას, მაგრამ იქ, „ზემოთ“, მოსკოვში, ეტყობა, იფიქრეს, ერთიც ვნახოთ და, ქართველები მართლა ავიდნენ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე, საბჭოთა გუნდმა კი ემანდ კრახი არ განიცადოს და ქვეყანაზე თავი არ მოგვეჭრასო. თუმცა, ეს „თავის მოჭრა“ სწორედ რომ „დიდი პოლიტიკის“ გადამწყვეტი იყო და გადაწყდა კიდეც — ორივე ექსპედიცია ჩაშალეს.

1980 წლისთვის ჯომლუნგმაზე კვლავ საბჭოთა ექსპედიცია დაიგეგმა. ექსპედიციის კანდიდატთა შორის მესტიელი სერგო ბარლიანიც იყო, მაგრამ ამ გუნდის გამგზავრება ორი წლით გადაიდო, რასაც ნაკრების გადახალისება მოჰყვა. სერგო ბარლიანი ახლა შემადგენლობაში ველარ მოხვდა. სამაგიეროდ, განახლებულ სიაში მოხვდა თბილისელი აკაკი ხერგიანი.

აი, აქ იყო, რომ, როგორც ქართველებს ხშირად გვჭირვია, მოსკოვში წასისინება და დასმენა დავიწყეთ, ხერგიანი ასეთი და ასეთი კაციაო. არადა, ჰიმალაელთა შეკრებაზე იგი მუდამ უძლიერესთა შორის იყო. მრავალი გამოცდა გაიარა მეკლდეურობაში, თოვლზე თუ ყინულზე სიარულსა და ბაროკამერაში. VI ადგილზე ქვემოთ არ დაშვებულა. ფარული კენჭისყრის შედეგებითაც მოწინავეთა რიგებში იყო.

მერე კი იყო ის ენის მიტან-მოტანა მოსკოვში, ტყუილი თუ მართალი და აკაკი ხერგიანი მწვერვალზე ექსპედიციის წევრთა სიიდან ამოიღეს. ბოლოს საქმეში სოლიკო ხაბეიშვილის ჩარევითა და დიდი მცდელობით იგი ექსპედიციაში კინოოპერატორად შეიყვანეს, რათა მწვერვალზე ასვლა გადაეღო.

ამ ექსპედიციამ, როგორც ცნობილია, მიზანს მიაღწია. მთამსვლელებმა მწვერვალი მანამდე უვალი სამხრეთ-დასავლეთის კედლის ავლით დალაშქრეს, რაც მანამდე დაუძლევლად ითვლებოდა. ამ მხრიდან იაპონელებმა სამჯერ სცადეს ასვლა, მაგრამ ერთხელაც ვერ მიაღწიეს მიზანს. იმავე კედლის დასაძლევად თერთმეტი ქვეყნის მთამსვლელებიც გაერთიანდნენ, მაგრამ ისინიც ვერას გახდნენ. მერე კიდევ ერთი საერთაშორისო ექსპედიცია გაწბილდა. მათი ბედი გაიზიარეს ინგლისელებმაც. ბოლოს 1975 წელს დიდი ბრიტანეთის მთამსვლელებმა მიაღწიეს მიზანს.

საბჭოთა მთამსვლელებმა სამხრეთ-დასავლეთის კედელს დაადგეს თვალი, ოღონდ უფრო რთული მარშრუტი შეარჩიეს და ავიდნენ კიდეც მწვერვალზე.

ამ ასვლაში თავისი დიდი წვლილი შეიტანა აკაკი ხერგიანმაც. საბაზო ბანაკიდან, რომელიც 5300 მეტრზე (ეს თითქმის კავკასიონის უმაღლესი მწვერვალის — იალბუზის სიმაღლეა) განლაგდა, აკაკიმ ხუთჯერ (საბაზო ბანაკიდან ამდენჯერ არც ერთი მთამსვლელი არ გასულა) აზიდა საჭურველი 6100-7300 მეტრ სიმაღლეზე, ხოლო ორჯერ — 7900 მეტრამდე (ასეთი სიმაღლის მწვერვალი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არ არის). ხერგიანი ყოველი გასვლისას ისედაც მძიმე ზურგჩანთას იმძიმებდა კინოკამერით — მას ხომ ფილმი უნდა გადაეღო. და გადაიღო კიდეც.

მაშინ მიზანს სამმა კაცმა მიაღწია. ექსპედიციის მეთაურმა ევგენი ტამმა მიიჩნია, რომ მწვერვალზე 12 კაცის ასვლა უკვე დიდი მიღწევააო და ხერგიანსა და კიდევ ორ მთამსვლელს მწვერვალზე გადამწყვეტი იერიშის მიტანის შანსი აღარ მისცა.

და ბოლოს, ქართველმა მთამსვლელმა მაინც გადმოიხედა „დედამიწის სახურავიდან“. ეს მოხდა 1991 წლის 10 ოქტომბერს ნეპალის დროით 17 საათზე, როცა თბილისელმა რომან გიუტაშვილმა ფეხი შედგა ევერესტზე. ეს ამბავი მეტად მოულოდნელად მოხდა, მოულოდნელად თვით გიუტაშვილისთვისაც.

საქმე ის იყო, რომ იმ წელიწადს დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე სანკტ-პეტერბურგელთა ექსპედიციას უნდა მიეტანა იერიში. ისინი საამისოდ 1990 წელს დიდი მონდომებით ემზადებოდნენ და პამირში ლენინის პიკზე ადიოდნენ. საუბედუროდ, იმ რაიონში მიწისძვრა მოხდა, რამაც დიდი ზვავები გამოიწვია. სანკტ-პეტერბურგელები, და არა მხოლოდ ისინი, ზვავმა ჩამჩუქრა და ცოცხალი აღარავინ გადარჩა, რაც პამირის ისტორიაში შევიდა როგორც ყველაზე დიდი ტრაგედია.

ნევისპირელებს იმ დროისთვის დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ასვლის ნებართვა უკვე ნაყიდი ჰქონდათ და ამ შანსის ხელიდან გაშვება აღარ სურდათ, არადა თითქმის ყველა იქაური უძლიერესი მთამსვლელი ცოცხალი აღარ იყო. ამიტომ სანკტპეტერბურგელებმა თავიანთი შეხედულებებისამებრ სახელდახელოდ ნაცნობმეგობარ ძლიერ მთამსვლელებს უხმეს. ასე მოხვდნენ გუნდში სანკტ-პეტერბურგის, ყაზახეთის, უკრაინის, საქართველოსა და აშშ-ის წარმომადგენლები, სულ თერთმეტი მთამსვლელი, რომელთა შორის ერთი ქალიც იყო.

რომან გიუტაშვილმა მისი ამ გუნდში მიწვევის ამბავი ექსპედიციის გამგზავრებამდე 12 დღით ადრე შეიტყო. თუმცა იგი მაშინ „რვაათასიანზე“ საიერიშოდ მაინც ემზადებოდა, რაკიღა საქართველოს ნაკრები ანაპურნაზე ასვლას გეგმავდა, მაგრამ ის ექსპედიცია, სამწუხაროდ, ჩაიშალა. ჩაიშალა და გიუტაშვილის ბედად ის მოწვევაც გამოჩნდა.

სანკტპეტერბურგელთა ექსპედიციამ, რომელსაც ჯომოლუნგმაზე ამსვლელი პირველი საბჭოთა მთამსვლელი ვლადიმერ ბალიბერდინი მეთაურობდა, დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ეგრეთწოდებული კლასიკური მარშრუტით — პირველდამპყრობთა გზით მიაღწია მიზანს. ჯომოლუნგმაზე თერთმეტიდან ოთხი კაცი ავიდა. ესენი იყვნენ ვლადიმერ ბალიბერდინ — ანდრეი ბუკრეევისა და ქართველ-ამერიკელის — რომან გიუტაშვილისა და დანიელ მაზურის წყვილები.

მაშინ გიუტაშვილი 54 წლისა იყო და, ბუნებრივია, ამ ხნის კაცი ჟანგბადის აპარატურას იყენებდა.

საინტერესოა, რომ გიუტაშვილი თავისი ასაკით მეორე უხუცესი მთამსვლელია, რომელმაც მიზანს მიაღწია. ამ მხრივ რეკორდი ეკუთვნის ნორვეგიელ რიჩარდ ბასს, რომელმაც 1988 წელს დალაშქრა მწვერვალი. მაშინ რიჩარდ ბასი 55 წლისა იყო და ჯომოლუნგმაზე ისიც პირველდამპყრობთა გზით ავიდა, რაც ამ მწვერვალზე ყველაზე იოლ მარშრუტად ითვლება, მაგრამ „ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ ევერესტზე ასვლა, თუნდაც 1953 წლის მარშრუტით, უბრალო გასეირნებაა, — ამბობს ჯომოლუნგმაზე პირველი წარმატებული ექსპედიციის მეთაური ჯონ ჰანტი. — გარწმუნებთ, რომ ეს ასე არ არის. ყოველი ასვლა სახიფათოა. საკმარისია გავიხსენოთ მსხვერპლთა რაოდენობა. როგორც კი ძლიერი ქარი ამოვარდება, მწვერვალის ქედზე თავს ვერავინ შეიკავებს და ასეთი დღეები წელიწადში უმრავლესია.“

ჯომოლუნგმის კიდევ ერთი დამლაშქრავი, ჩეხოსლოვაკიელი ზოლვო დემიანი კი ამბობს: „როცა ლჰოცზეზე გაცილებით ძნელი და ტექნიკურად რთული პირველი ასვლა განვახორციელეთ, მცირე შესვენების შემდეგ შემეძლო იმავე გზას გავდგომოდი, ევერესტზე ასვლის განმეორების თავი კი აღარ მქონდა. ეს თითქმის „ცხრაათასიანია“.

ავთანდილ გურასაშვილი

# ფულზე მხოლოდ დედას ესაუბრება

კლაიდ დრექსლერმა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში" თერთმეტნახევარი წელი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში ორჯერ იყო NBA-ს ფინალში (1990 და 1992 წლებში) და ორჯერვე „ჩიკაგო ბულზთან" დამარცხდა. წელს კლაიდი ჰიუსტონში გადავიდა და მესამე ცდაზე ამერიკის ჩემპიონიც გახდა. გთავაზობთ „შპორტ ბილდში" გამოქვეყნებულ ინტერვიუს კლაიდ დრექსლერთან.

— სამშობლოში დაბრუნდით, თქვენს მეგობარ აკიმ ოლაჯუონთან; ერთ გუნდში თამაშობთ და მესამეჯერ ხართ NBA-ს ფინალში. ალბათ მსოფლიოში უბედნიერესი ადამიანი ბრძანდებით.

— თავს გადასარევად ვგრძნობ. დედაჩემი ჰიუსტონში ცხოვრობს, აქ დავამთავრე კოლეჯი და აქ მინდა ჩემი კარიერის უმაღლეს მწვერვალს მივაღწიო.

— ამაში „როკიტსი" დაგეხმარებათ?

— რა თქმა უნდა. აკიმი არაამქვეყნიურ კალათბურთს თამაშობს. არავის შეუძლია მისი შეჩერება. მიხარია, რომ აღარ მიწევს მის წინააღმდეგ თამაში.

— რამ უფრო გაგაოცათ: „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" მეპატრონეთა გადაწყვეტილებამ, გაეცვალეთ ოტის ტორპში, თუ ჰიუსტონელთა არასტუმართმოყვარე და ცივმა დახვედრამ?

— ორივე ფაქტმა გამაოგნა. „როკიტსის" გულშემატკივრები ყველა დამარცხებისთვის მე მთხოვდნენ პასუხს. ეს ძალიან მტკენდა გულს, მე ხომ ახალ ატმოსფეროსა და თამაშის სისტემას უნდა შევგუებოდი.

— როგორ ფიქრობთ, „როკიტსი" ახლა, თქვენიანად უკეთ თამაშობს თუ შარშან?

— მე მრავალმხრივი, დიდად გამოცდილი კალათბურთელი ვარ. მწვრთნელი ამბობს, რომ მოედანზე ჩემი ყოფნისას „როკიტსის" თამაში ძნელად გამოსაცნობია. თავის ქებაში არ ჩამითვალოთ, უბრალოდ ვიტყვი: ყოველ შემთხვევაში, ჩემი გადმოსვლით გუნდი არ დასუსტებულა.

— თუკი თქვენ ყველა სპონსორი მიგატოვებთ, მაინც არ გექნებათ ცუდად საქმე. მომავალ სეზონში ხომ 14 მილიონ დოლარს მიიღებთ.

— ამაზე უკვე მთელს მსოფლიოში ლაპარაკობენ? გთხოვთ არ მიწყინოთ — ფულის თაობაზე მხოლოდ დედას ვესაუბრები.

# ტრაფალგარზე გახურდნენ

გუშინ ლონდონის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბან უიმბლდონში 109-ედ დაიწყო სრულიად ინგლისის ღია საჩოგბურთო ჩემპიონატი, იმავდროულად ბალახის მოედნებზე მსოფლიოს არაოფიციალური პირველობა რომაა.

ვაჟთა თანრიგში გამარჯვების უპირველეს კანდიდატად შარშანდელი ჩემპიონი, ამერიკელი პიტ სამპრასი მიიჩნევა. მართალია, პიტი მსოფლიოს პირველი ჩოგანი ველარაა, მაგრამ ამ თანამდებობაზე მის შემცვლელს, ასევე ამერიკელ ანდრე აგასის ბოლო დროს თეძო აწუხებს და ძველი რიხით ველარ ასპარეზობს. თუ ორი კვირის თავზე სამპრასი გაიმარჯვებს, უიმბლდონური ჰეთ-თრიქი გამოუვა — ზედიზედ მესამედ მოიპოვებს ბალახზე თამაშის კარუზოს სახელს.

აგასის გარდა სამპრასის მთავარი მეტოქეები, წესითა და რიგით, გერმანელი ბორის ბეკერი და ხორვატი გორან ივანიშევიჩი უნდა იყვნენ, მაგრამ პირველს წვივი აწუხებს, მეორე კი, თუ მისსავე სიტყვებს ვენდობით, ემოციურად გამოფიტულა და სათამაშოდ გული აღარ უწევს.

როგორც ჩვენმა თანამშრომელმა ზურაბ მეძველიამ ლონდონიდან გვამცნო, საუიმბლდონოდ ჩამოსულ სამპრასსა და აგასის ზედ ტრაფალგარის მოედანზე 20-წუთიანი სალაღობო თამაში გაუმართავთ. საამისოდ გულითად მასპინძლებს სახელდახელოდ დაუხაზავთ ჩოგბურთის მოედანი.

ქალების ტურნირის ფავორიტია გერმანელი შტეფი გრაფი, ვისაც წელს ერთი მატჩი რაა, ისიც არ წაუგია და ზურგის ტრავმამოშუშებული კვლავაც მსოფლიოს პირველი ჩოგანია. ვარაუდობენ, რომ გრაფს ჩემპიონობისთვის შეეჯიბრებიან ესპანელები — არანტა სანჩეს-ვიკარიო და კონჩიტა მარტინესი, ვინაც შარშანდელი ჩემპიონია, აგრეთვე ფრანგი მარი პირსი, რომელიც პირველად ასპარეზობს უიმბლდონში.

გრაფი წელს მეექვსე უიმბლდონურ ტიტულს უმიზნებს. ამბობენ მას საგანგებოდ შენელებული ბურთებიც ვერ შეაბრკოლებენო, ამერიკელ ვეტერან მარტინა ნავრატილოვასთან წყვილად თამაში კი დამატებით შეაწევს ემოციურ მუხტსო.

ამასობაში შეჯიბრმა მავანი ბობოლებიც მოისაკლისა. ესპანელმა სერხი ბრუგერამ, ვინც ავსტრიელი თომას მუსტერის უარის შემდეგ მერვე ნომრად განთესეს, ხუთშაბათს ტრავმა მოიმიზეზა და ტურნირს გამოაკლდა. იმავე საბაბით ბრუგერას მხარი აუბა თანამემამულე ალბერტო ბერესატეგიმაც. ამან ორგანიზატორები გაანაწყენა და ისინიც ესპანელებს სამედიცინო შემოწმების გავლას სთხოვენ, მათ სიმართლეში რომ დაირწმუნონ თავი.

მუსტერმა, ვისაც თიხაზე თამაშში ვერავინ შეედრება, სეზონი გაიგრძელა და შინ, ქალაქ სანქტ-პოლსტენში მოიგო საერთაშორისო ტურნირი. თომასმა 6:3, 3:6, 6:1 დაამარცხა ჩეხი ბოგდან ულირაკი და თიხაზე ზედიზედ მოგებათა რიცხვი 40-მდე აიყვანა, თუმცა ეს შედეგი მსოფლიო რეკორდი ჯერაც ვერ ყოფილა, რადგანაც ჩოგბურთისთვის თავმინებებულ ორ მოთამაშეს — შვედ ბიორნ ბორგსა და არგენტინელ გილერმო ვილასს მეტისთვის მიუღწევიათ: პირველს მიყოლებით 44 თამაში მოუგია, მეორეს კი — უფრო მეტი, 53 (!)

ესპანელებისგან განსხვავებით მუსტერი დროულად დაეთხოვა უიმბლდონელებს, რადგან წინა ოთხ ჯერზე შეჯიბრს პირველსავე წრეში გამოეთიშა. შარშან ასეთივე მარცხი შეემთხვა გრაფს, მაგრამ წელს მსგავსი რამ ალბათ ძნელად თუ მოხდება.

უიმბლდონის ავტორიტეტი ისეთია, რომ წინა კვირის ორი ტურნირი კვირადღის ნაცვლად შაბათს დაასრულეს, რათა მათ ფინალისტებს დასვენება მოესწროთ. ნოთინგემში ვაჟები თამაშობდნენ, ისთბორნში — ქალები. პირველგან გაიმარჯვა განუთესელმა არგენტინელმა ხავიერ ფრანამ, რომელმაც ნახევარფინალი 7:6, 7:5 მოუგო ზიმბაბველ ბაირონ ბლექს, ფინალი კი — 7:6, 6:3 ავსტრალიელ თოდ ვუდბრიჯს. ამან ნახევარფინალში თავისი ერთგული მეწყვილე მარკ ვუდფორდი 6:3, 2:6, 6:3 დაამარცხა.

ისთბორნის ტურნირის ნახევარფინალში ამერიკელმა რუბინმა 6:0, 6:0 დაამარცხა გერმანელი ზინგერი, ორი ნატალიას — ფრანგი ტოზიასა და ბელარუსი ზვერევას თამაში კი 6:2, 6:4 მოიგო ფრანგმა, რომელმაც მერე ფინალშიც გაიმარჯვა 3:6, 6:0, 7:5.

კიდევ ერთ საბალახო ტურნირს წინა კვირაში გერმანიის ქალაქმა ჰალემ უმასპინძლა. გერმანელები ამ შეჯიბრს დიდ რეკლამას უკეთებენ და თურმე უიმბლდონსაც კი ეტოქებიან.

ჰალეში იასპარეზა ამერიკელმა ვეტერანმა ჯიმი კონორსმა. მან მასპინძელი მარტინ ზინერის 7:6, 6:0 ძლევით მეოთხედფინალშიც კი გააღწია, მაგრამ იქ ორ ხელში წააგო შვეიცარიელ მარკ როსესთან (4). მეოთხედფინალშივე გავარდა რუსი ევგენი კაფელნიკოვი (1), ვისაც ჰოლანდიელმა პაულ ჰაარჰიუსმა 6:1, 7:6 მოუგო. მეორე ხელში რუსი ერთობ გამწარებულა და გინების კორიანტელი დაუყენებია, რის გამოც ერთი ქულითაც დააჯარიმეს და ლამის იყო წაგებაც მიუსაჯეს. სამხრეთაფრიკელ ვეინ ფერერას (2) მერვედფინალში აჯობა ზელანდიელმა ბრეთ სთივენმა.

ნახევარფინალები ასე დამთავრდა: მიხაელ შტიხი (გერმანია, 3) — ჰაარჰიუსი 7:6, 6:1, როსე — იაკოვ ელტინგი (ჰოლანდია) 7:6, 7:5. ფინალში როსემ 3:6, 7:6, 7:6 (10-8) მოუგო შტიხს.

ირაკლი ნინუა

# უპატრონო თასს ეშმაკები დაეპატრონენ

ნიუ-ჯერსელმა „ეშმაკებმა" (დევილზ) საქმე მალე მოითავეს — ჰოკეის ეროვნული ლიგის (ნჰლ) მთავარი ჯილდო „სტენლის თასი" დეტროიტის „წითელი ფრთების" (რედ ვინგზ) 4-0 ძლევით პირველად მოიპოვეს. „ეშმაკებმა" ფინალური სერიის მესამე და მეოთხე თამაშები ხუთშაბათსა და შაბათს შინ ერთნაირი ანგარიშით — 5:2 მოიგეს. თასის ახალ მფლობელთა თავდამსხმელი კლოდ ლემიოს ერგო „სმაით თროფი" — ჯილდო „სტენლის თასის" უძვირფასესი მოთამაშისათვის.



# ბითიმ ლავიწი მოიტეხა

ხუთშაბათიდან შაბათამდე მსოფლიოს რჩეული მოტოციკლისტები ასენში, ჰოლანდიის დიდი პრიზისთვის ასპარეზობდნენ. 500 კუბური სანტიმეტრის კლასის მსოფლიო პირველობის ლიდერი, მონტე-კარლოელი ავსტრალიელი დარელ ბითი („სუძუკი") პარასკევს კვალიფიკაციისას დაეცა, ლავიწი მოიტეხა და რბოლას, რაღა თქმა უნდა, გამოაკლდა.

თანამემამულის, მეზობლისა და მეგობრის მარცხით იხეირა შარშანდელმა ჩემპიონმა მაიკ დუენმა („ჰონდა"), ვისაც „წინასწარი პოული" კი ეჭირა, მაგრამ „გრან-პრის" სტარტზე ოდენ მესამე რიგში იდგა. კვალიფიკაციაში საუკეთესო შედეგი ესპანელ კრივიეს („ჰონდა") აღმოაჩნდა.

დაშავებული ლიდერი სამკურნალოდ ინგლისს გადაიყვანეს და რბოლის ტელერეპორტაჟი საავადმყოფოში აყურებინეს. თავიდან დიდი ბრძოლა გამართეს კრივიემ და მისმა თანამემამულე პუჩმა („ჰონდა"). ამან მეხუთე წრეზე გაუსწრო იტალიელ ლორის კაპიროსის („ჰონდა") და დაწინაურდა, ვიდრე ბოლოდან მესამე წრეზე თავად მას გაუსწრებდა დუენი. ბოლო წრეზე პუჩს კრივიემაც გაასწრო. მეოთხე ადგილზე გავიდა კაპიროსი, მეხუთეზე — ბრაზილიელი ბაროსი, მეექვსეზე კი 19 წლის იაპონელი აბი.

წლევანდელი ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპზე მეოთხე „გრან პრის" მოგებით დუენმა 25 ქულა მიითვალა და ბითის ერთი კინკილა ქულით გაუსწრო. დუენს 120 ქულა აქვს, ბითის — 119.

# ქარი მეტისმეტად ქროდა

წინა უქმეებზე ლილში (საფრანგეთი) გამართულ ევროთასზე იშვიათი რამ მოხდა: კვირას ბრიტანელი ჯონათან ედვარდსი სამხტომში ჯერ 18,43 მეტრზე გადახტა, მერე კი 18,39-ზე, რაც თითქმის ნახევარი მეტრით აღემატება ამერიკელი ვილი ბენქსის მსოფლიო რეკორდს (17,97), 1985 წელს რომაა დამყარებული. ეს შედეგები ახალ მსოფლიო რეკორდებად ვერ ჩაითვლება იმის გამო, რომ მხტომელს 2,4 მ-წმ სიჩქარის ზურგქარი შეეწია.

გერმანელი ქალი ჰაიკე დრექსლერი სიგრძივ 704 სანტიმეტრზე გადახტა. მისმა გუნდმა სულ 100 ქულა მოაგროვა და 17 ქულით ჩამორჩა გამარჯვებულ რუსეთს. სამაგიეროდ, გაიმარჯვეს გერმანელმა ვაჟებმა. მათ ჯამში 117 ქულა მოიხვეჭეს, ბრიტანელებმა კი — 107.

შეჯიბრებაზე სიტყვა წარმოთქვა ქალაქის მერმა, საიდანაც გაირკვა, რომ ლილს 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობა სურს.

წინა კვირაშივე ორი დოპინგის ამბავი გახმაურდა. ბოლო ერთ წელში ეს უკვე მეორედ ჩავარდა წარმოშობით ნიგერიელი, მაგრამ აწ ნორვეგიელი სპრინტერი აჰემ ოკეკე, ვისაც სინჯში ისევ დაუდგინეს ტესტოსტერონის ერთობ მაღალი შემცველობა. ვიდრე ხუთწლიან დისკვალიფიკაციას მისცემენ, ოკეკეს მეორედაც უნდა აუღონ სინჯი.

მეორე სადოპინგო შემთხვევა ჭეშმარიტად სკანდალურია. სტეროიდების ხმარებაზე გამოუჭერიათ 14 წლის (!) სამხრეთაფრიკელი გოგონა ლიზა დევილიერსი, ვისაც მოსწავლეთა ეროვნულ პირველობაზე სიგრძეზე ხტომაში ბრინჯაოს მედალი მოუპოვებია. მთელი მსოფლიოს მასშტაბით უმრწემესი ცდომილისათვის ოთხი წლითა და სამი თვით მიუციათ დისკვალიფიკაცია: ოთხი წელი სტეროიდებისათვის სარგო სასჯელი ყოფილა, სამი თვე კი — ალმგზნები საშუალებებისათვის.

## აქეთური, იქითური

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ შემოდგომაზე ლოს-ანჯელესი ამერიკული ფეხბურთაობის პროფესიული კლუბის გარეშე დარჩება. არადა, აქამდე ამ ქალაქს ფეხბურთალთა ერთბაშად ორი, მოშულარი გუნდი ჰყავდა. ერთ მათგანი — „რემზი" (ყოჩები) სენტ-ლუისში გადადის, მეორე — „რეიდერზი" (ყაჩაღები) კი 16 წლით უბრუნდება სან-ფრანცისკოს, საიდანაც ლოს-ანჯელესში ამ 30 წლის წინ გადაბარგებულა.

*

სასექტემბროდ გადაიდო კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბკ) ვერსიით მძიმეწონოსანთა საჩემპიონო შერკინება. მსოფლიო ჩემპიონ ოლივერ მაკქოლს ხელის მტევანი დაშავებია, რის გამოც მოცილე ფრენკ ბრუნოს ლონდონის „უემბლიზე" 22 ივლისს ველარ ეკრივება.

*

წინა კვირაში დასრულდა „ტურ დე ფრანსის" წინარე კიდევ ორი ველოტური. შვეიცარიისა მოიგო რუსმა პაველ ტონკოვმა, ვინაც 11 წამით მოიტოვა მასპინძელი ალექს ზულე, 4 წუთითა და 19 წამით კი — პოლონელი ზენონ იესკულა. ამ ტურის ბოლო, ხუთშაბათის ეტაპი მოიგო იტალიელმა ფლავიო ვანძელამ. კატალონიის ველოტურში გაიმარჯვა ფრანგმა ლორან ჟალაბერმა.

*

პარასკევს, ბრისბენში, ავსტრალიის ლიგის რაგბის ნაკრებმა სამმატჩიანი სერიის პირველი ტესტი 26:8 მოუგო ახალ ზელანდიას. მასპინძელთა ოთხი ლელოდან ორი გარემარბმა ბრეთ დალასმა გაიტანა.

*

მასპინძელთა — ჰოლანდიელი ქალების გამარჯვებით დასრულდა ბალახის ჰოკეის ევროპის ჩემპიონატი. ქალაქ ამსტელვეენში კვირას გამართული ფინალი ფრედ 2:2 დამთავრდა, მერე კი ჰოლანდიამ პენალტებით 4:1 აჯობა ოლიმპიურ ჩემპიონ ესპანეთს. მესამე ადგილის შეჯიბრში გერმანიამ 1:0 დაამარცხა აწ უკვე ექს-ჩემპიონი ინგლისი, რომელმაც ნახევარფინალში 1:3 წააგო ესპანეთთან. მეორე ნახევარფინალში ჰოლანდიამ გერმანია 2:1 დაამარცხა.

*

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში (ნბა) ამბოხია. ამ გაერთიანების კომისიონერმა დევიდ შტერნმა თავის დროზე მოთამაშეები გააბრიყვა და კეტბურთისა და შაიბის ჰოკეისაგან განსხვავებით კალათბურთს გაფიცვა თავიდან აარიდა, მაგრამ კალათბურთელებს ახლა მობეზრებიათ და პლეი-ოფის დამთავრებისთანავე შეუტიეს მამებს. ჯორდანს, იუვინგსა და მათი რანგის ხალხს წერილიც კი მიუწერიათ შრომითი ურთიერთობის საბჭოსთვის, მეპატრონეთა მიერ მოწონებული ახალი წინადადებები არ მოგვწონს, რის გამოც მეტი დაფიქრება გვმართებს, ვიდრე ახალ, ექვსწლიან კოლექტიურ შრომითს ხელშეკრულებას მოვაწერთ ხელსო.

*

მსოფლიოს ნომერ პირველი მეგოლფის ტიტული დაიბრუნა „თეთრმა ზვიგენმა" — ავსტრალიელმა გრეგ ნორმანმა, რომელმაც კონექტიკუტში დასრულებული დიდი ჰართფორდის ღია პირველობა მოიგო.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29